საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 18 ნოემბერი, 2014 წელი.

№234 (7614)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

როცა მანქანას აკუმულატორი დაუჯდება და „პერემიჩკებიც“

ველარ შველის...

◎ მოვლენის შემდეგ

3

ტაშკენტი — 50

6-7

„სულთა-მხუთავის ძმობასა სჯობს, კბილით ჰკვნეტდე ქვასაო“

4

ანუ ვინ არიან სააკაშვილი და მისი გუნდი?

5

იური მეჩიტოვი:

ჩვენთვის კეთილდღეობაა მთავარი თუ ევროკავშირი ან ნატო?!

◎ დღის ამოჭრაზურიდან

ინგა გრიგოლიას ძაღლები ნაყვარება...

— სატელევიზიო ბურთი და მოედანი დღეს გრიგოლიას ხელშია.

— თანაც, სადაც მივიდა, ყველა არხი „რუსთავი-2“-ს დაამსგავსა.

— ვითომ მიუკერძოებელს თამაშობს, არადა, ისეთ ხალხს, ისეთ რესპონდენტებს არჩევს, აშკარად თანაგრძნობას უცხადებს საბედისწეროდ მოფრთხიალე სულამომდინარ ვაინაციონალებს.

— გინდა „რეაქცია“ ავიღოთ და გინდა „იმედის კვირა“, ორივე გადაცემა ხალხის გულის გასახეთქად არის ჩაფიქრებული.

— ეგ ყოველგვარი უკულმართობისა და უკეთურების დამცველად გვევლინება... დღემდე ვითომ კაცთმოყვარე, ახლა ძაღლთმოყვარედაც ვიხილეთ თავის ფრიად აჯაფსანდურ ჯგუფთან ერთად „იმედის კვირაში“...„რესპონდენტმა“ ძაღლებმა პირდაპირ მჩორეთი აავსეს „იმედის“ სტუდია.

— ისედაც მჩორე გადაცემა ნამდვილ მჩორედ აქციეს.

— მაგ დიდფულიანმა ელიზბარაშვილმა კი, ბატონო, მიხედოს უპატრონო ძაღლებს, ოღონდ ხალხს ნუ შეაწუხებინებს. თავისი ფული როგორც უნდა, ისე მოიხმაროს, მაგრამ ხუთასი ძაღლის მაგივრად ორმოცდაათ უპატრონო მოხუც ადამიანსაც რომ მიაწოდოს ერთი ლუკმა პური არსობისა, ალბათ, ურიგო არ იქნება. ჩვენს შეჭირვებულ ქვეყანაში ადამიანს თუ ცოტათი მაინც ძაღლის წინ დავაყენებთ, მგონი, არავინ არ დაგვძრახავს, თვით ტელეეკრანზე აგრერიგად მოპარპაშე ინგა გრიგოლიაც, რომელსაც ასე გულის წასვლამდე ნაყვარება ოთხფეხა მეგობრები, თუმცა, იმედია, არც ორფეხა მეგობრების ხელის კვრით არის დაკავებული.

— საერთოდ მიკვირს და გამკვირვებია, ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის „იმედის“ ახლანდელი პატრონები რატომ მეტ ყურადღებას არ იჩენენ იმ პროგრამების მიმართ, რომელთაც თავიანთი ტელემოღვაწეობის არცთუ მცირე მანძილზე პოლიტიკურად საეჭვოდ მოკუნტრუშე წამყვანები თავიანთი ერთი ადგილის ქეიფზე არა მარტო ადგენენ, არამედ ჯიუტად თავს ახვევენ მსმენელსა და მაყურებელს.

— ქვეყნის ასარევ-დასარევად ერთი „რუსთავი-2“-ც კმარა, ნუ ვაქცევთ ხალხისთვის კეთილდღეობის იმედის გასაჩენად ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილ „იმედს“ უიმედობის უშრეტ წყაროდ.

— ინგას რა ნაყვარება, ეს თავისი საქმეა, იმას ჩვენც ძალით ნუ გვაყვარებს...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ევროკავშირთან დაახლოების პირველი ფაზა წარმატებით შესრულდა

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ევროკომისარმა მზადყოფნა გამოთქვა, ხელი შეუწყოს საქართველოს, რათა სამოქმედო გეგმის მეორე ფაზა ასევე დადებითად შეფასდეს. ამ მიზნით, პირველი მისია საქართველოს 24 ნოემბერს ეწვევა.

გარდა ამისა, შეხვედრისას პრემიერმა იმ კონკრეტულ შედეგებზეც ისაუბრა, რომელსაც საქართველომ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიაღწია.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, მიღებულია კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მიგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; თომას ჰამერბერგის რეკომენდაციების შესაბამისი ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

მთავრობის მეთაურმა ევროპული და ევროატლანტიკური კურსისადმი ერთგულება ევროკომისარს კიდევ ერთხელ დაუდასტურა და განაცხადა, რომ საქართველო ასოცირების ხელშეკრულების ეფექტური იმპლემენტაციისთვის მზად არის.

არ არსებობს უწყება, სადაც დარღვევები არ არის

ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა. მისი თქმით, აუდიტის სამსახური მის უწყების შემოწმებას ახორციელებს.

„აუდიტის სამსახურსა და ჩემს უწყებას შორის, ჩემს მისვლამდე იყო მიმოწერა. მივედი თუ არა, მივწერე აუდიტის სამსახურს და ვთხოვე, რომ დაეწყოთ სამუშაოები.

არ არსებობს უწყება, სადაც დარღვევები არ არის, უბრალოდ, გააჩნია რა ტიპის დარღვევებია. ამ ეტაპზე არ ვიცი, რა ტიპის დარღვევებზეა საუბარი“, – განაცხადა სუბარმა.

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით კი, მისი უწყება აუდიტის სამსახურმა უკვე შეამოწმა. მისივე თქმით, თუ რა დასკვნა დაიდება, ამის შესახებ თავად აუდიტის სამსახური ისაუბრებს.

ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის თქმით კი, აუდიტის სამსახურს მისი უწყება ამ დროისთვის არ შეუმოწმება.

გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავდაცვის სამინისტროს გარდა სხვა უწყებებშიც მუშაობს.

როგორც თორდია აცხადებს, მეტი პრობლემები იკვეთება იმ სამინისტროებში, სადაც საბიუჯეტო სახსრები დიდია.

დარღვევები ფიქსირდება სხვა, შედარებით ნაკლებ ბიუჯეტიან უწყებებშიც.

„მაგალითად, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ჩვენ მიერ გამოვლენილ ფაქტებში იკვეთება სამართალდარღვევის ნიშნები. საუბარია სპორტული მოედნების მოწყობაზე, სოციალურად დაუცველთა ბაზაში ფიქსირდება უზუსტობები (როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების პირობებში), რაზეც ალბათ პროკურატურას შესაბამისი რეაგირება ექნება. ამ საქმის შესწავლა მიმდინარეობს და გვექნება კონკრეტულ თანხებზე ინფორმაცია. დარღვევები ჩანს განათლების სამინისტროშიც, მაგალითად, მერხების შესყიდვისას (შაშკინის მინისტრობის პერიოდი), პროკურატურაში გადავგზავნეთ რამდენიმე თვითმმართველობის მიერ სავარაუდო კანონდარღვევის შემცველი მასალები“, – განმარტავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსი „კვირის პალიტრასთან“ საუბარში.

საგარეო საქმეთა მინისტრს ახალი მოადგილეები ჰყავს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებად დავით დონდუა, გიგი გიგიაძე და ხათუნა თოთლაძე დაინიშნენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, პრემიერ-მინისტრმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეების დანიშვნას ხელი მოაწერა.

მათივე ინფორმაციით, მინისტრის პირველი მოადგილის პოსტი დავით დონდუამ დაიკავა.

უწყების ცნობით, დავით დონდუა 2012 წლიდან დღემდე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა.

იგეგმება ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების რეაბილიტაცია

რეგიონებში ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები ძალიან მძიმე პირობებში იმყოფება, – ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ განაცხადა. მისი თქმით, ხაზებისა და ქვესადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მიღწეული შეთანხმების შედეგად, ყოველწლიურად დაახლოებით 70 მილიონი ლარი იქნება დახარჯული სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის.

თბილისში სკვერს „ტოლერანტობის სკვერის“ სახელი მიენიჭება

ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წინადადებითა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ევროპის მოედანზე მდებარე სკვერს ტოლერანტობის სკვერის სახელი მიენიჭება.

ევროპის მოედანზე მდებარე სკვერში შეკრებილ რელიგიური ორგანიზაციისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ტოლერანტობის საერთაშორისო დღე მიულოცეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ.

აღინიშნა, რომ თბილისი ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ინახავს. სომხები, აზერბაიჯანელები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები, რუსები და სხვა ეროვნების ადამიანები საუკუნეებია ერთად ცხოვრობენ, მოღვაწეობენ, ერთად ქმნიან ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე აგებულ ჩვენს საერთო კულტურას.

პორუფციული რისკების ინდექსით, საქართველო მსოფლიოში მე-11 ადგილზეა

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, **კორუფციის რისკების ინდექსი** trace International-მა RAND Corporation-თან თანამშრომლობით შეიმუშავა. Trace-ის მატრიცა რისკების შეფასების პირველი გლობალური ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესს, ქვეყანაში არსებული კორუფციული რისკები შეაფასოს.

საქართველო რეიტინგში უკან იტოვებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ნორვეგია – მე-12 ადგილი, ჰოლანდია – მე-13 ადგილი, საფრანგეთი – მე-14, შვეიცარია – მე-16, დიდი ბრიტანეთი – მე-19, ხოლო ავსტრია – მე-20 ადგილი.

„კვლევის მასშტაბიდან გამომდინარე, საქართველოს რეიტინგი უპრეცედენტოა: კვლევა 197 ქვეყანას მოიცავს მაშინ, როდესაც, შედარებისთვის, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივე“ 189 ქვეყანას ფარავს. ინდექსის მიხედვით, კორუფციული რისკების შეფასება ეფუძნება შემდეგ ოთხ სფეროს:

ბიზნესის ურთიერთობა მთავრობასთან, რაც გულისხმობს რეგულაციების სიმარტივეს და ქრთამის გადახდის მოლოდინის არსებობას ბიზნეს-სექტორში; ანტიკორუფციული კანონები და მათი აღსრულება; სახელმწიფო სერვისების გამჭვირვალობა; სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის შესაძლებლობა, რაც მოიცავს მედიის თავისუფლებასა და სოციალური განვითარების დონეს.

რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია კორუფციული რისკები ბიზნესისთვის ქვეყანაში. ინდექსის განახლება 2 წელიწადში ერთხელ იგეგმება. მომდევნო კვლევის შედეგები 2016 წელს გამოქვეყნდება.

ჩოხატაურში სკოლების მშენებლობის ბუმი დაიწყო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფნარში სკოლის მშენებლობა და აღჭურვა დასრულდა. ევროპული სტანდარტების ახალი, თანამედროვე სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, ჩოხატაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა თემურ ჭკუასელმა, გურიის გუბერნატორმა გიორგი ჩხაიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოინახულეს და მოსწავლეების თვითშემოქმედებასაც გაეცნენ.

მათივე ინფორმაციით, სოფლის სკოლა სრულად აღიჭურვა ახალი მერხებითა და დაფებით. სკოლას აქვს გათბობა, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

წიფნარის საჯარო სკოლის ძველი შენობა მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო, ამიტომ სასწავლო პროცესი საბავშვო ბაღის ხის შენობაში ტარდებოდა, სადაც არ იყო ელემენტარული პირობები. სოფელი სკოლის აშენებას 20 წლის განმავლობაში ელოდა, რის გამოც, მოსახლეობა სოფელს ტოვებდა. 60 მოსწავლეზე გათვლილ სკოლაში ამ ეტაპზე 35 მოსწავლე სწავლობს, თუმცა, ახალი სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან სრულად დაიტვირთება. სოფელ წიფნარში სკოლის მშენებლობის დაწყების შემდეგ რამდენიმე ოჯახი უკვე დაბრუნდა.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ჩოხატაურის რაიონში კიდევ ორი ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება, ერთ-ერთი სოფელ ზოტში, სადაც ასევე ჩავიდა მინისტრი, ძველი სკოლის ხის შენობა დაათვალიერა, მოსახლეობას შეხვდა და მათ ახალი სკოლის პროექტი წარუდგინა.

სოფელი ზოტი არის ჩოხატაურის რაიონის ყველაზე მაღალმთიანი სოფელი. სოფელში არის საჯარო სკოლა, რომელშიც სწავლობს 196 მოსწავლე, სოფელში არ არის მიგრაცია და მოსწავლეთა კონტიგენტი მერყეობს 180 მოსწავლიდან 220 მოსწავლემდე. სკოლის ძველი ხის შენობა, რომელიც ვერ იტევს მოსწავლეებს და არის ამორტიზებული, სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია. სამინისტროს გადაწყვეტილებით, სოფელ ზოტში 2014 წლის დეკემბერში ახალი, თანამედროვე სტანდარტების სკოლის მშენებლობა დაიწყება.

როცა მანქანას აკუმულატორი დაუჯდება და „პერემიჩკებიც“ ველარ შველის...

ყველაზე ზუსტად და მორგებულად შოთა გლურჯიძემ მოარტყა იმ დღეს „მაესტროში“ — ნაციონალური მოძრაობა ჰგავს მანქანას, რომელსაც აკუმულატორი დაუჯდა და „პერმიჩკებიც“ ველარ შველისო.

ერთი კია, აკუმულატორდამჯდარმა მანქანამ ბოლო, თავგანწირული ცდა გამოიყენა — დაღმართში დაგორდა.

და 15 ნოემბრის აქცია შედგა. რა თქმა უნდა, არა ისეთი მასშტაბით, როგორც თვალში ნაცრის შესაყრელად ვარაუდობდნენ, როგორც ხავსს ებღაუჭებოდნენ ნაცები (არავინ კი იცის, რის იმედით), 40 ათას კაცს დავაყენებთ ფეხზეო, მაგრამ რამდენიმე ათასს კი მართლაც მოუყარეს თავი.

თუმცა, ის ვერ მოახერხეს, რომ აქციას „სრულიად ეროვნული“ სახე ჰქონოდა, როგორც ხაზგსმით გვპირდებოდნენ — გამოკვეთილად პარტიული ღონისძიება იყო, მიტინგს, ქუჩაში ყველას დასანახად გამოსვლას დანატრებული, ხალხის მიერ უარყოფილი, სანაგვეზე გადაგდებული ყოფილების და მათი გამეჩხერებული მომხრეებისა.

ყელყელაობდნენ „ცნობილი“ (ავად ცნობილი) სახეები: ვაშაძე, ბოკერია, გაბაშვილი, წიკლაური, ჯაფარიძე, თარგამაძე, ნადირაშვილი, ხაჩიძე, ხაბაზიც კი და სხვები. ლაპარაკობდნენ ძველს, გაცვეთილს, ჩემი შენ გითხარიოს, თავის თავის დასამშვიდებელს და გასამხნევებელს... ჩაროზად ექს-პრეზიდენტიც ჩართეს სადღაც უცხოეთიდან. მიშამ სამშობლო დააიმედა, ჩვენ მალე დავბრუნდებითო.

აშკარად ჩანდა: ნაცმოძრაობას მიღებული ჰქონდა გააქტიურების დირექტივა, ახლა სწორედ დროაო!

ისინი რაღაცისთვის ემზადებიან და პირველი ნაბიჯი გადადგეს. ახლა ლოგიკა როგორი იყო: განვლილმა ორმა წელმა მოგვიტანა მავთულხლართები, დაკარგული ტერიტორიები, ანექსიის საფრთხე და ა. შ.

გეგონება 2008 წელი ციდან ჩამოვარდა, თითქოს საакაშვილი და ნაციონალები სახლებში ისხდნენ, წიგნს კითხულობდნენ, როცა რუსეთი შიდა ქართლში შემოვარდა.

სატირალ-სასაცილო იყო ყოველივე ამის სმენა და ნახვა. ამ დენთის სუნდაკრულმა — „ჩვენ მალე დავბრუნდებით“, მართლა რაიმეს მოლოდინი კი არ გააჩინა, არამედ მწარე გემო დატოვა კითხვის სახით: რატომ მოხდა, რაც მოხდა, ან, უფრო სწორად, რის მანიშნებელი იყო იგი?

ჯერ ერთი, აბსურდულად უსუსური გახლდათ აქციის სარჩულად რუსეთ-აფხაზეთის ახალი ხელშეკრულების, ანუ აფხაზეთის ანექსიის გაპროტესტება. აფხაზეთ-სამაჩაბლო ნაცებს ფეხებზე ეკიდათ და ჰკიდიათ, როგორც აქამდე.

პირდაპირ ვიტყვი: 15 ნოემბერი იმაზე ცუდის მანიშნებელია, ვიდრე ბევრს შეიძლება ეგონოს — აქცია სწყუროდათ და დარწყულდნენო. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დარწყულებული უფრო თამამად მიაშურებს ხოლმე წყაროსთავს.

და თუ ამჯერად 40 ათასამდე კაცი არ მოჯარდა, ხვალ, ზეგ შეიძლება მოჯარდეს არა ნაცების მოწოდებითა და კაიკაცობით, არამედ იმისდაკვალობაზე, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს (უფრო სწორად — ვერ გადადგამს) ხელისუფლება.

ახლა სწორედ იმ პირველსათქმელზე მივიდეთ:

როგორ შეძლეს ნაცებმა 15 ნოემბრის აქციის ჩატარება, რა გახდა ხალხის იქ მისვლის მიზეზი (მათში, რა თქმა უნდა, ნაცების ყოფილი პარტიული აქტივისტიც ბევრი იყო და სეირის მაყურებელიც, მაგრამ დიდი ნაწილი მაინც დღევანდელობით უკმყოფილო ერია).

ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ მისი მასირებული კრიტიკა დაიწყო. მთავრობის უნიათობამ და გაუთვლელობამ დაუდო ყველაფერს სათავე. მტერიც და მოყვარეც იმას საყვედურობს, ამ ორი წლის მანძილზე, რაც ხელისუფლებაში ხართ, არაფერი ხელშესახები და თვალშისაცემი არ გაგიკეთებიათო.

არადა, გაუკეთებიათ! მაგრამ ისეთები, რომლებიც კვირტს ორი-სამი წლის შემდეგ გამოიტანენ. ეს, ალბათ, ნორმალურ ქვეყანაში ასეც უნდა ხდებოდეს, მაგრამ, როცა დანა ყელზე გაქვს მობჯენილი, როცა, ერთი მხრივ, მტერ-მოყვარე დასავლეთი გამათრახებს, მეორე მხრივ, — მოსისხლედ ქცეული ოპოზიცია და მესამე მხრივ — მშიერ-მწყურვალი მოსახლეობა, ალბათ, დროდადრო ისეთიც უნდა გამოურიო, ყველას თვალები დააჭყეტინო, ეს რა კარგი აუგიათო.

ხრუშჩოვის პერიოდის ერთი ეპიზოდი მახსენდება... აშშ და სსრ კავშირი ინდონეზიას უპრაწავდნენ თვალს, ორივე ცდილობდა, ეს ქვეყანა თავის გავლენაში მოექცია, მიემხრო. ორივემ გადაწყვიტა ინდონეზიის მოხიბვლა წარმტაცი პროექტებით. ამერიკამ დედაქალაქ ჯაკარტის გარშემო დიდებული ავტოსტრადა ააგო, სსრ კავშირმა კი უფრო მეტი დახარჯა — ერთ-ერთ კუნძულზე (ინდონეზია, მოგეხსენებათ კუნძულოვანი ქვეყანაა) მეკამეჩეობის ულტრათანამედროვე ფერმა მოაწყო.

მაგრამ რა გამოვიდა! ჯაკარტის ავტოსტრადას ყველა ხედავდა, ყველა იწონებდა, რომელიღაც ათასმეერთე კუნძულზე მდებარე მეკამეჩეობის ფერმა კი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისთვის იქნებ ბევრად მომგებიანიც იყო, გარეშე თვალმა არც იცოდა! ჰოდა, იმ შეჯიბრებაში დამსახურებულად გაიმარჯვა ამერიკამ.

ჰოდა, ძმაო ხელისუფლებავ, თვალს მიფარებული მეკამეჩეობის ფერმის ნაცვლად ერთი ჯაკარტის ავტოსტრადა აგეგო!

ათასს რომ ჰკითხო, ალბათ, ათი ვერ გეტყვის, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის ძვირად ღირებული რემონტი ბიძინა ივანიშვილის მილიონებით კეთდება, ის კი ყველამ იცის, რომ ამ კაცმა, რომელსაც არავითარი ოფიციალური სტატუსი არა აქვს, გაბედა(!) და კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომაზე მივიდა, რის გამოც „თავისუფალმა დემოკრატებმა“ საბჭო დატოვეს!

ადამიანები გულმავიწყები არიან.

გულმავიწყები თუ უმადურები?

დღეს რაღაც ძალიან ბევრი ითავისებს 2012 წლის ოქტომბრის გამარჯვებას, ბევრი განადიდებს თავის როლს ნაცმოძრაობის დამარცხებაში.

სიმართლე კი ასეთია: რომ არა ბიძინა ივანიშვილის წარმმართველი, მაორგანიზებელი როლი, არაფერიც არ შეიცვლებოდა საქართველოს უახლოეს ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში 2016 წლამდე მაინც ნაღდად!

ეს კაცი გრიგალივით მოვარდა ქვეყნის პოლიტიკურ კაბადონზე და გრიგალივით დალეწა დამყაყებული რეჟიმი.

დაგვავიწყდა?

არა, უბრალოდ, გახსენება არ გვინდა გმირის გმირობის ჩამომცრობის მიზნით!

ის ნებით განერიდა პოლიტიკურ სარბიელს. არც ეს აპატიეს.

თუმცა, ეს ლაპარაკი მის „გასათეთრებლად“ არ დამიწყია.

პირიქით, იმ დიდ შეცდომაზე მინდა, ვთქვა, რაც პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გადადგომამდე და გადადგომის შემდეგ დაუშვა.

ეს იყო თავი და თავი ყოველი უკეთურობისა.

— კოჰაბიტაცია!

ამ მახინჯმა კოჰაბიტაციამ შვა მიჯირყვნული ნაციონალური მოძრაობის შემდეგში რეანიმაცია და წამოყალყვა.

ამ მახინჯმა კოჰაბიტაციამ შვა კოალიცია „ქართული ოცნების“ გაუბედაობა და ადგილზე ტორტმანი.

თვით „თავისუფალი დემოკრატების“ დემარშიც კი (ნოემბერი ხომ იანვარში იწყება).

გასაგებია, რომ ურჩხულთან საბრძოლველად „ქართული ოცნება“ ბილწსაც უნდა შაჰკვროდა ზავითა და სახელდახელოდ შეკოწიწებული კოალიცია იმდენად ამორფული გამოდგა, რომ ოდესმე უეჭველად უნდა გამსკდარიყო.

გასკდა კიდეც.

რუსები იტყვიან: дальше – больше. 8 გასული „დემოკრატის“ ადგილზე სახელისუფლო კოალიციამ 12 გუშინდელი, ყოფილი (?) ნაციონალი შეიმატა, ამორფულის ნაცვლად სუპერამორფული გახდა და ხვალ რასა იქმს, ღმერთმა უწყის. ირაკლი ალასანიამ ამ საეჭვო შემომატების გამო აკი კალამბურიც შეთხზა „ნაციონალური ოცნებაო“.

თუმცა, კოალიციელები იჭაჭებიან, ეს შემომატებულები (მაჟორიტარი ნაციონალები) ადრეც თანამშრომლობდნენ ჩვენთან და ეს მშვენივრად იციან ჩვენმა ოპონენტებმა, ამრიგად, უჩვეულო არაფერი მომხდარაო. მაგრამ ფაქტი მთლად „შანელის“ სურნელს არ აფრქვევს.

ამრიგად, კოალიციას პირველი დარტყმა, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ მიაყენეს თავისი განდგომით.

ირაკლი ალასანია მჭევრმეტყველების ვულკანად იქცა. ლაპარაკობს ბევრს და თვითკმაყოფილად. რაც მთავარია, ცდილობს მსმენელს ლამაზად და უმწიკვლოდ წარმოუჩინოს თავისი თავი. ზემოთ ნახსენები კალამბურიც შეთხზა.

ოღონდ!..

მისი ნაუბარი ჰგავს წყლისა და ზეთის ნაზავს: აშკარად ჩანს ერთმანეთთან შეუთავსებელ-შეურეველი ორი ფენა.

ერთი მხრივ ბატონი ირაკლი ქვეყნის საგარეოპოლიტიკური კურსის (დასავლეთ-ნატოს მიმართულების) შეცვლის საშიშროებაზე გვაფრთხილებს და თავის ნაბიჯს ამით ხნის, ოღონდ აქ აშკარად შეიმჩნევა ამ ევროატლანტიკური კურსის საკუთარი თავისადმი მორგება. არადა, ცნობილია, არამც და არამც არ შეიძლება ქვეყნის საგარეო კურსის პერსონიფიცირება! ეს, ასე ვთქვათ — წყალი.

ახლა მეორე — ზეთი. აშკარად ჩანს, რომ ალასანიას ბუნტის თავი და თავი არის პოსტულატი, რომ პროკურატურა თავდაცვის სამინისტროს „დისკრედიტაციას“ მიმართავს, როცა ლაპარაკობს იქ არსებულ კორუფციაზე. უფრო მეტიც: სამინისტროს მაღალჩინოსნებს აპატიმრებს.

აქ ბატონ ირაკლის აშკარად უმტყუნა ნერვებმა და იმის ნაცვლად, რომ როგორც გამოცდილ პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს შეშვენის, ეთქვა, დავუცადოთ გამოძიებას და სასამართლოსო (ერთ-ერთ ტელეინტერვიუში აკი დაცდა, გამორიცხული არაფერი არ არისო, ანუ თავდაცვის სამინისტროში კორუფციის ფაქტები შეიძლება იყოსო), აყვირდა, პროკურატურა მდევნისო.

აქ ერთი რამეც არის სათქმელ-ხაზგასასმელი: თუ პროკურატურა თავდაცვის სამინისტროს ჩრდილს აყენებს დისკრედიტაციის მცდელობით, და იმავდროულად, არის ეჭვი, ალბათობა, თავდაცვის სამინისტროში კორუფციის არსებობისა, ეს არ აყენებს ჩრდილს თავდაცვის სამინისტროს?

მაგრამ ეს იქით იყოს: ალასანიას საქმეში, რა თქმა უნდა, არის პოლიტიკური სარჩული, ოღონდ, ვერც იმას დავუფიცავთ, რომ ამას თვით ირაკლი ალასანიამაც შეუწყო ხელი!

მისი შეტევა კოალიციასა და ღარიბაშვილზე თავიდან ძალიან მკაცრი იყო (არანაკლებ მკაცრი გახლდათ ღარიბაშვილის პასუხიც). გვახსოვს ზურაბ აბაშიძის ხელების შლა, არა, ამათთან ლაპარაკი არ შეიძლებაო!

დრო გვიჩვენებს, კიდევ შეიძლება თუ არა „მათთან ლაპარაკი“...

ერთი კია, მადლობა ღმერთს, ლამის გინების დონეზე დიალოგი შეწყდა. ახლა მთავარი ის არის, რამდენად შინაარსიანად ჩაანაცვლებენ „თავისუფალი დემოკრატები“ ნაცებს ოპოზიციაში, და რამდენად სასარგებლო და კონსტრუქციული იქნება ეს ჩანაცვლება ქვეყნისთვის, მისი პოლიტიკური ცხოვრებისთვის.

დიახ ეს არის უპირველესი, თორემ ალასანიები, ღარიბაშვილები, ივანიშვილებიც კი და სხვები მოდიან და მიდიან, საქართველო კი რჩება და წასულთა კვალი იმით იზომება, რამდენად წაადგა ისინი სამშობლოს.

ალეკო ასლანიშვილი

◎ ალიანჩალიანი

ემზარ კვიციანს 12 წლით პატიმრობა შეეფარდა

ზუგდიდის სასამართლომ ემზარ კვიციანს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა. კვიციანის ადვოკატი განაჩენის გასაჩივრებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გეგმავს.

„სამწუხარო ერთი რამ არის, ემზარ კვიციანს სააკაშვილის ხელისუფლებამ შეუკერა საქმე, რომელშიც არც კვალიფიკაციით, არც გამოძიებით, კვიციანის ბრალეულობა არ დასტურდება. დღევანდელმა ხელისუფლებამ ის ასე გაიმეტა“, — განაცხადა კვიციანის ადვოკატმა რევაზ კახნიაურმა.

ემზარ კვიციანი სამხედრო ამბოხებისა და ტერორისტული აქტების მოწყობის ბრალდებით 2006 წლიდან იძებნებოდა. მას პატიმრობა დაუსწრებლად წინა ხელისუფლების დროს მიესაჯა. მიმდინარე წლის 28 თებერვალს კი, მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა, სამართალდამცველებმა აეროპორტში დააკავეს

ინტერპრესი

◎ ყვარყვარიზმი მარად ცოცხალია

დროა, მივხვდეთ რამერიგად...

„ჩვენ ილიას მკვლელი ერი ვართ!“ — არაერთხელ გამიპროტესტებია ეს უმწარესი აღსარება — იმ არგუმენტით, რომ ილია ჩვენ კი არა, უსამშობლოო ხალხის ხელით, იმპერიამ მოკლა.

ასე იყო მანამდე, ვიდრე აგერ, ჩვენს თვალწინ, თავადვე არ მოვკალით პირველი პრეზიდენტი, ვისი ლიდერობაც ევროპის ყველაზე ტრადიციულ და ცივილიზებულ ქვეყანასაც დაამშვენებდა.

ირაკლი ღარიბაშვილი, რა თქმა უნდა, არც ილიაა და არც ზვიად გამსახურდია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს სწორედ მას დაეკისრა იმ გრაალის მცველობა, რისთვისაც ორი დიდი ერისკაცი მოკლეს.

დღეს კიდევ ერთხელ დავდექით იმ საშიშროების წინაშე, რომ კვლავაც არ აცხადდეს კონსტანტინე გამსახურდიას აფორიზმი, ყველაზე მწარედ მისსავე შვილს რომ აუხდა: „ერს რომ ამდენი მოღალატე ჰყავს, მაკედონელიც ვერ გამარჯვებინებს!“

სიტყვა „ღალატი“ სულხან-საბას ლექსიკონში არ გვხვდება. ეტყობა, გვიან შემოსულა არაბულიდან. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ერთერთი ახსნა ასეთი აქვს: „სხვაზე გაცვლა, ორგულობის გამოჩენა, მოვალეობის უგულებელყოფა (მეგობრობაში, სიყვარულში...).“

პირველი განმარტება კი, ყველა მიხვდება, სამშობლოს ღალატს უკავშირდება.

ამ უმძიმესი დანაშაულისაგან ღმერთმა ყველა დაიფაროს, ორგულობასა და მოვალეობის უგულებელყოფას კი, საუბედუროდ, ყოველდღე ვხედავთ.

ვხედავთ, უპირველესად, პოლიტიკოსებისაგან და (რაგინდ მძიმე სათქმელი იყოს) ჟურნალისტებისაგან.

საერთოდაც, ძნელი სათქმელია, ვინ უფრო მეტი დაუშავა ქვეყანას ბოლო ოცწლეულში - პოლიტიკოსებმა თუ ჟურნალისტებმა (ცხადია, აქ ე. წ. მესამე სექტორის „ღვაწლიც“ არ უნდა გამოგვრჩეს)...



ხშირად მრცხვენია იმ პროფესიის გამო, სიცოცხლესავით რომ მიყვარს.

მრცხვენია მაშინ, როცა სოზარ სუბარი სრულიად სამართლიანად მიმართავს „რუსთავი-2“-ს, თქვენ მედია არა ხართო; მრცხვენია მაშინ, როცა აგრესიის დაძლევის პრობლემაზე გვესაუბრება ინგა გრიგოლია, ვისი კარიერაც, უმთავრესად, აგრესიის თესვას ეფუძნება; მრცხვენია მაშინ, როცა გიორგი გაბუნიას ნაცებისაგან ვერ ვარჩევ.

შალვა ნათელაშვილის მოხდენილი ხუმრობა(ამას მაინც ნუ დავუკარგავთ) დღეს შეგვიძლია, ხუმრობად აღარც კი ჩავთვალოთ: მხოლოდ „რუსთავი-2“-ს რომ შეხედოს კაცმა, დაიჯერებს, რომ სააკაშვილი კვლავაც საქართველოს პრეზიდენტია(!?)...

მაგრამ დღეს მინდა, დავივიწყო ეს ყოველივე და მივმართო, უპირველესად, პოლიტიკოსებსა და ჩემს კოლეგებს:

გვეყო, რაც ქვეყანას ნებსით თუ უნებლიეთ დავუშავეთ. ახლა მაინც ვაჩვენოთ ერთგულების მაგალითი და დავუდგეთ გვერდით ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრს, ვისაც, გამოუცდელობის გამო, შესაძლოა, ზოგი რამ ეშლება, მაგრამ, მჯერა, არ ეშლება ყველაზე მნიშვნელოვანი — ის, რომ „სამშობლო უმთავრესია“(გალაკტიონი)!..

15 ნოემბრის მიტინგზე სააკაშვილის ჩართვამ გვაჩვენა, რომ ყვარყვარიზმი მარად ცოცხალი და საშიშია, რადგან ძალაუფლების წყურვილი ყველაფერს აკადრებინებს. მისთვის ძალაუფლება სამშობლოზე მაღლა დგას, რა თქმა უნდა, სამშობლოს გრძნობა თუ საერთოდ მოეპოვება.

... პარნელი, ირლანდიის ეროვნული გმირი, თანამემამულეებს ემუდარებოდა, ჩემს თავს, საჯიჯგნად, სამშობლოს მტრებს ნუ მიუგდებთო.

ირაკლი ღარიბაშვილი, ცხადია, არც პარნელია და არც ამას გვემუდარება, მაგრამ ბოლოდროინდელმა ვითარებამ გვაჩვენა, რომ საკმაოდ უტეხია და ქვეყნის ინტერესების დაცვაში უკან არ დაიხევს.

სწორედ ასეთ ლიდერს სჭირდება ჩვენი მხარდაჭერა და გამხნევება.

დაე, დაინახოს მთელმა მსოფლიომ, რომ საქართველო ირაკლი ღარიბაშვილის გვერდით დგას და რეალური თავისუფლებისთვის ბრძოლას განაგრძობს.

დღეს საქართველო ორი ძიძის ხელშია.

დავანახოთ ორივეს ის, რაზეც მუხრან მაჭავარიანი მიუთითებდა:

რუსეთიც და ამერიკაც
დროა, — მიხვდნენ რამერიგად:
საქართველო კუნძულიკა
კი არ არის რომელიღაც!
საქართველო ქვეყანაა, —
იმერითა, — ამერითა! -
მზისკენ
ისრებრ
მიწყივ
მფრენი, —
ხან ლურჯათი! —
ხან მერნითა!

ამას, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდებიან, თუ ღირსეულად არ მოვიქცევით.

ანუ ჯერ თავად უნდა მივხვდეთ.

ბოლო ასშვიდი წლის განმავლობაში, ორი ლიდერი მივუგდეთ საჯიჯგნად სამშობლოს მტრებს.

ნუთუ არ კმარა იმისთვის, რომ ჭკუა ვისწავლოთ?!

იოსებ ჟუმბურიძე

◎ „მტერიას შინა ყოლასა...“

ვინ არიან სააკაშვილი და მისი გუნდი?

ანუ „სულთა-მხუთავის ძმობასა სჯობს, კბილით ჰკვნეტდე ქვასაო“.

(ვაჟა - „ჰაოს და ქართლოს“).

აბა სულითა და ხორცით ქართველმა თითეულ შეკითხვას პასუხი გასცეს:

— ვინ გადასცა რუსეთს საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის უხეში დარღვევით ერის კუთვნილი ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკული ობიექტების უმეტესობა?

— ვინ შეიტანა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები, რის შედეგადაც საქართველოში ტირანული, ნეკროფილიის ელემენტებით გაჯერებული სადისტური და მჩაგვრელი რეჟიმი ჩამოყალიბდა?

— ვინ აღადგინა ეროვნული ხელისუფლების მიერ გაუქმებული სამხრეთი ოსეთი, და მას ახალგორი, ხოლო აფხაზეთს კოდორის ხეობა ვინ მიუერთა?

— ვინ მოაწყო კოდორის ხეობაზე შეიარაღებული თავდასხმა და ხეობის დამცველი სვანები ვინ განაიარაღა?

— ვისი ბრძანებით დაიბომბა ცხინვალი, ანუ ვინ შეუწყო ხელი რუსეთს რათა მას აფხაზეთისა და ჩრდილო ქართლის ოკუპაცია მოეხდინა?

— ვინ აღადგინა და დაამკვიდრა პირველყოფილი ადამიანის ველური პრინციპი „ნულოვანი ტოლერანტობა“ და „ყველანი — ციხეში“?

— ვინ შემოიღო და დაამკვიდრა ციხეებში პატიმართა სისტემატური წამება, მკვლელობა და გაუპატიურება, ხოლო ქუჩებში მომიტინგეთა ცემა და ახალგაზრდების მკვლელობა? (მე ვეკითხები დასავლელ პარტნიორებს: დამნაშავეების დაუსჯელობას, ანუ მათ თავისუფალ ბოგინს თქვენს ქვეყნებში დაუშვებთ?)

— ვინ გადაიტანა ქუთაისში პარლამენტი, დედაქალაქის იქ გადატანის პერსპექტივით, და რომელი მეზობლის ინტერესში შედიოდა ასეთი რამ? რატომ შეიყვანა მოსკოვის სომხურმა ვებ-გვერდმა სააკაშვილი გამოჩენილ სომეხთა ოცეულში?

— ვინ აღვივებდა და აღვივებს კუთხურ სეპარატიზმს სამეგრელოში?

— ვინ მიანიჭა არამართლმადიდებელ ორგანიზაციებს უფლება, იქცნენ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის თანაბარი საჯარო სამართლის იურიდიული პირები?

— ვინ ჩამოართვა სახელმწიფო უნივერსიტეტებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და სხვა კერძო უნივერსიტეტების სტატუსს ვინ გაუთანაბრა?

— ვინ გააუქმა ან სამართლებრივი სტატუსის გარეშე დატოვა მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო სკოლები და ინსტიტუტები?

— ვინ დაარბია და გაყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერების 500-ზე მეტი ცნობილი მოღვაწე, და მათგან 70-ს სიცოცხლე ვინ მოუსწრაფა?

— ვინ შეუწყო ხელი ჭარბმოსახლეობიანი ქვეყნებიდან ხალხის შემოსახლება-დასახლებას მათთვის მოქალაქეობის მინიჭებას და დემოგრაფიული სიტუაციის მკვეთრ გაუარესებას?

—ვინ შემოასახლა აჭარაში 47 ათასი თურქი, რომელთაგან 38 ათასს საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა ვინ მიანიჭა? (მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციის ძალით: ორმაგი მოქალაქეობა ენიჭება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე).

საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ყველა ზემოაღნიშნული დანაშაული ჩაიდინა სამი ბატონის მსახურებმა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა.

„მტერიას შინა ყოლასა, ლომიას გზასა ზედა წოლა სჯობია“.

ბიძინა სავანელი

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ფრაზები

● ის, რაც საქართველოში მოხდა და ხდებოდა მთელი ეს წლები, უკვე პოლიტიკის საკითხი აღარ არის. ეს მართლა ბოროტება-სიკეთის, სინათლე-სიბნელის დაპირისპირების ტერმინებით აღიწერება. სისტემური და ადამიანების მასობრივი წამება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია. მე ხელს აღარ ჩამოვართმევ ადამიანს, ვინც ამას ოდნავ მაინც ამართლებს. და გინდაც გაიმარჯვოთ თქვენ, გინდაც მაწამოთ, მომკლათ, იცოდეთ, რომ გამარჯვებული მაინც მე და ჩემნაირები ვართ.

● ბატონო დუტა, ჩიკატილოს რომ მიეწვიეთ ბავშვთა უფლებების დასაცავ აქციაზე, იქ თუ მიბრძანდებოდით?

● გიგი წერეთელს პერანგის ქვეშ ოცნების მაისური ეცვა!

● უიმედო „იმედი“ (სათაური)

წამყვანებიან-სტუმრებიანად, სულ უსიამოვნო ხალხია (მეტ-ნაკლებად და სუბიექტურად, რასაკვირველია).

● ერთ-ერთ სკვერს ტოლერანტობის სახელი მიენიჭება, ერთ-ერთ ქუჩას — ტოლერანტობის, ხოლო ერთ-ერთ მოედანს ტოტლებენისა, — რეიგანის და ველოსიპედის ძეგლები ქე გვაქვს უკვე.

● ყველა რეკლამა ხომ მეტ-ნაკლები კრეტინობაა, მაგრამ მათი ეტალონი არის თემურ წიკლაურით გაწყობილი ლუდი „ოქროს არწივი“!

● აქციამ ხეისუფლებაზე ძალიან იმოქმედა. მინისტრები ანერვიულდნენ. ამიტომ მოვითხოვ:

1.გიგი წერეთელი დაინიშნოს ყველაფრის ვიცედ.

2. მარგიშვილმა დანამატი 10000 ლარამდე გაიზარდოს.

3. ქუცნაშვილს და ონოფრიშვილს ხელფასები 15000 გაუხდეთ სამუდამოდ.

4. დანელიას და იმერლიშვილს გადაეცეთ iPhone+++++ები.

5. ვერულაშვილი — ვიცე-სპიკერად.

6. ჭიაბერაშვილი — ვიცე-პრემიერად.

7. პროკურატურამ სასწრაფოდ დააკავოს ნაგვის ბუნკერებში საკვების ნარჩენების უკანონოდ მომპოვებელი ადამიანები.

დ.ა.შ.

● სირცხვილისა და ბოღმის განცდა დამეუფლა, როდესაც დღეს ნაცბანდის აქციის გამო პარალიზებულ ქალაქში „პრობკებში“ ვიდექი!

საქმე რაოდენობაში კი არა, უბედურება ის არის, რომ ამდენს გვიბედავენ დღესაც ეს მეცოცხე ნაცები!

ეს არის პირდაპირი დამსახურება ქოცების უნიათო ხელისუფლებისა, პირადად ბიძინა ივანიშვილის!

ან ის რა იყო, რომ შსს თათბირს ნაცები დაასწრეს — წარმოგიდგენიათ ვანო მერაბიშვილს გრეჩიხა რომ მიეწვია თათბირზე?

ან, რატომ უნდა მიიღოს ღარიბაშვილმა ჩვენი დამაქცევარი ჯორჯ სოროსი?

ან, პარლამენტი როგორ ბედავს წუთიერი დუმილი მიაგოს სინდის-ნამუს გარეცხილ, საქართველოს გამყიდველ კახა ბენდუქიძეს?

არ ვიცი, არ ვიცი და მაგრად დავიღალე ამ ყველაფრისგან...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

იური მეჩითოვი:

ჩვენთვის კეთილდღეობაა მთავარი



თუ ევროკავშირი ან ნატო?!

არა ანექსიას; არა ოკუპაციას; არა რუსეთს! – ასეთი იყო 15 ნოემბრის აქციაზე ნაციონალების მკვეთრი რიტორიკა, რომელიც ყველამ ვიცით, თუ რა პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. ყველაფრის მიუხედავად, ქართველების ამ ხმას რუსეთი აუცილებლად გაიგონებდა.

ჩვენ გავესაუბრეთ ცნობილ ფოტოგრაფს, პოლიტიკურად აქტიურ ადამიანს იური მეჩითოვს, რომელიც ფიქრობს, რომ ეს მიდგომა არასწორია და რომ ხალხის გონიერების ნიშან-წყალი ასეთ ქმედებებში არ ჩანს. თუმცა, იქამდე მოკლედ გვიყვება იმ მიზეზებზე, რის გამოც დღეს მისი ბინის საპირფარეშოს ამშვენებს აბრა: „იური მეჩითოვი – მინისტრის მოადგილე“.

– რატომ ექცევით თქვენს ყოფილ სტატუსს ასე სარკასტულად?

– ვეკითხები ბატონ იურის და ჩემს გაოცებას ვერ ვმალავ.

– სხვათა შორის, საინტერესო თემაა, მაგრამ მგონი, ამაზე პრესაში არასოდეს მისაუბრია. 2012 წლის არჩევნებამდე შემომთავაზეს მაჟორიტარად მეყარა კენჭი ახალქალაქში, მაგრამ უარი ვუთხარი. პარტიულ სიაში მაინც ჩამსვეს, 55-ე ნომრად. გავიმარჯვეთ არჩევნებში, მილოცავენ დეპუტატობას, პრესაშიც დაიწერა... ორ კვირაში ოდიშარია დამიკავშირდა და მითხრა, დეპუტატობას მინისტრის მოადგილეობაში ხომ არ გაცვლიდიო. უარი ვთქვი... მაგრამ ამის შემდეგ ვიგებ, რომ თურმე სიაში არ ვყოფილვარ, დოკუმენტებში უპარტიო რომ მეწერა, თურმე ამის გამო... რას ვიზამდი. რამდენიმე დღეში მირეკავს სოზარ სუბარი და მეუბნება, ძველ ვერსიას ხომ არ დავუბრუნდეთო – ისევ კულტურის მინისტრის მოადგილეობა შემომთავაზეს. ვიფიქრე, ჩემს საქმეს ამ რანგში მაინც განვახორციელებ-მეთქი და დავთანხმდი. წარმადგინა მინისტრმა საჯაროდ, მომცეს სტატუსი, კაბინეტი, მანქანა, ხელფასი სულ ტყუილად მქონია, არსად ოფიციალურად გატარებული არ ვიყავი. ალბათ, სწორედ ეს არის აბსურდი ამ ქვეყნისა...

– საინტერესოა... ახლა კი კიდევ უფრო საინტერესო თემებზე გადავერთოთ. ბატონო იური, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე მინდა გკითხოთ. თქვენი აზრით, რეალურად რატომ მოხდა ეს პოლიტიკური ცვლილებები. საგარეო კურსის ორიენტაციის შემობრუნების გამო, კორუფციის გამო, პოლიტიკური ინტრიგის მსხვერპლი გახდა ვინმე თუ... რა?

– სინამდვილეში ყველაფერი ერთად... პროცესები არ არის დაშორებული გლობალური კონტექსტიდან, რომელიც უფრო რთულია თავისი არსით, ვიდრე მხოლოდ საქართველოს მისწრაფება დასავლეთისაკენ. თუმცა ესეც კი არსად არ დასტურდება, ვინაიდან 2008 წლის შემდეგ სერიოზული გამოკითხვა არავის ჩაუტარებია, მას შემდეგ 6 წელიწადი გავიდა, მაგრამ არ უკითხავთ ჩვენთვის, სად უნდა საქართველოს? მართალია, „ქართული ოცნების“ კოალიციას გამოეყვნენ თავისუფალი დემოკრატები, ახლა ორივე მხარე იფიცება, რომ მათ უნდათ ევროკავშირი და ნატო, მაგრამ სიტყვაც არ დასცდენიათ ხალხის კეთილდღეობაზე, ქვეყნის წინსვლაზე.

– ევროპულ არჩევანში ეს თავისთავად იგულისხმება.

– იგულისხმება, მაგრამ ხალხის სახელით საუბარი, როცა ამ ხალხის განწყობა სხვაგვარია, არამართებულია. ევროპის საწინააღმდეგო პირადად არაფერი მაქვს, მაგრამ ჩემი აზრით, მოსახლეობის ნახევარი მაინც ერთგვაროვნად არ უყურებს პროატლანტიკურ კურსს; მით უმეტეს, აგვისტოს ომის შემდეგ, როცა გულუბრყვილონიც კი მიხვდნენ, რომ რეალური საფრთხის შემთხვევაში ამერიკისგან და ევროპისკენ დიდ დახმარებას არ უნდა მოველოდეთ. ხელისუფლება რატომღაც კრძალავს ქვეყანაში თუნდაც ნეიტრალიტეტის მოსურნე აზრის არსებობას. არადა, არაფერი საშინელება იმაში არ არის, რომ ვიღაცას პრორუსული განწყობა ჰქონდეს, ან ევროაზიურ კავშირზე ფიქრობდეს. რა, ეს დიდი ცოდვაა?!

– თუნდაც უკრაინაში მიმდინარე რთული ვითარების გამო, არ გეჩვენებათ, რომ პრორუსული ორიენტაციას ამ ეტაპზე შეიძლება გამართლება არ ჰქონდეს?

– ის, რაც უკრაინაში ხდება, საქართველოში შუქდება ძალიან ტენდენციურად, უკრაინის საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით. მდგომარეობა კი ბევრად უფრო ღრმა და მრავალწახნაგოვანია.

– მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ ხელშეკრულებას, რომელსაც რუსეთი აპირებს გააფორმოს აფხაზეთთან, და რომელიც ფაქტობრივად ანექსიაა, მაინც ფიქრობთ, რომ რუსეთთან მეგობრობა შეიძლება?

– ასე კითხვის დასმა, სამწუხაროდ, არასწორია. ჯერ ერთი, საქართველომ არ დაიმსახურა პოლიტიკური მოთამაშის სტატუსი. ჩვენ არა ვართ პოლიტიკის სუბიექტი, ჩვენ ვართ ობიექტი, რადგან არა ვართ რეალურად დამოუკიდებლები (სამწუხაროდ, მსოფლიოში დამოუკიდებელი ქვეყნები ძალიან ცოტანი დარჩნენ). ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ პოლიტიკას. ერთადერთი, რასაც ვახერხებთ იმ გლობალურ დაპირისპირებაში, რომელიც ამერიკასა და რუსეთს შორის ხდება, და რომელსაც თითქოს ვერ ვამჩნევთ, ესაა, რომ ცუდად ვართ გაჩხერილები. ჩვენ მრავალვექტორიანი ქვეყანა უნდა ვყოფილიყავით, რომელიც ამ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის მომწესრიგებლის ფუნქციას იტვირთავდა. მხოლოდ ერთ მხარეს ყოფნა, პროატლანტიკური გეზის ლამის კონსტიტუციაში ჩაწერა და უზენაეს მიზნად აღიარება, ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა.

მე ვიცი, რომ უზენაესი მიზანი არის ხალხის კეთილდღეობა, მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, ჩვენი დაცულობა და ა. შ. დანარჩენი ყველაფერი არის საშუალებები, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლება...

– მაშინ, თქვენი გადასახედიდან, ნაციონალების მიერ ჩატარებული აქცია, რომელიც საგარეო ვექტორს უკავშირდებოდა, აბსოლიტურად კარგავს აზრს, არა?

– ბუნებრივია.

ეს ხდება იმიტომ, რომ ნაცებსაც და ქოცებსაც ჰყავთ ერთი პატრონი ვაშინგტონში და ერთმანეთს ეფიცებიან, რომელია უფრო პროდასავლური. რასაც ჩვენ ვუყურებთ, ეს არის მარაზმი.

იმ არჩევანისგან, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბერს ხალხმა გააკეთა, აღარაფერი დარჩა. კეთილი კაცის გავლით მოხვდნენ პარლამენტში ისეთი ადამიანები, რომელიც ქართველი საზოგადოების დიდ მოწონებას მაინცდამაინც არ იმსახურებს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არ წარმოადგენს ხალხის არჩევანს. იმიტომაც არის საუბარი ვადამდელ არჩევნებზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ესეც ნაადრევია. რა არჩევნები უნდა ჩატარდეს, როცა მოსახლეობა ჯერაც დაუთვლელია?! თანაც საკანონმდებლო ბაზა შესაცვლელია.

– ბატონო იური, იმ გლობალური პოლიტიკის გათვალისწინებით, რაზეც თქვენ გაამახვილეთ ყურადღება, გამოდის, რომ შიდაპარტიული კინკლაობა თითქოს აზრს კარგავს კიდეც...

– რა თქმა უნდა. გლობალური კონტექსტი ძალიან რთულია. დღეს რაც ხდება, ესეთ დაპირისპირებას პრეცედენტი არა აქვს. ამერიკა ახდენს ზემოქმედებას რუსეთზე, რომელიც ათწლეულები ასე ვთქვათ „დაჩმორებული“ იყო, მაგრამ ხმა ამოიღო და სერიოზული ძალა გახდა. ეს არის ამერიკისთვის გამოწვევა, რაც ობამამ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში დაადასტურა. ასეთი დაპირისპირებების ფონზე ქართველები, თუ გონივრულად არ მოვიქცევით, შეიძლება გავიჭყლიტოთ. სამწუხაროდ, ჩვენ გონივრულად სულაც არ ვიქცევით.

მთელი ჩვენი პოლიტიკური ელიტა ანგაჟირებულია, რადგან დასავლეთისგან არის დავალებული. ის ვალდებულია, მუდამ ილაპარაკოს იმაზე, რომ ევროპა და ნატო ხალხის არჩევანია, მაგრამ რეალურად ეს ასე არ არის.

– მაშინ, რა არის საზოგადოების არჩევანი?

– ნორმალურად, უზრუნველად ცხოვრება. მაგრამ ვისაც უკვე უზრუნველყოფილი აქვს ცხოვრება, თავისი პოლიტიკური არჩევანის გამო, უარს ხომ არ იტყვის? მაგალითად, რესპუბლიკელებმა, როგორ თქვან უარი დასავლურ ღირებულებებზე, როცა ისინი დასავლეთისგან საზრდოობენ?!

დღეს ხდება მსოფლიო გადანაწილება და ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. მაიდნის განმეორებით რომ გვემუქრებიან ნაციონალები, რა მოხდა უკრაინაში, ვინმეს გააზრებული აქვს? ჩვენ გვიხსნიან ძალიან პრიმიტიულად, რომ რუსეთს უნდოდა ტერიტორიები და „მოტეხა“. ეს არის სიბეცე, გაუნათლებლობა. იქ ზუსტად ის ხდება, რაზეც ზემოთ ვისაუბრე – გლობალური დაპირისპირება – ამერიკა ებრძვის რუსეთს უკრაინელების ხელით, უკრაინელების ხარჯზე. ისე, როგორც 2008 წელს ებრძოდა ამერიკა რუსეთს – ქართველების ხარჯზე. თუ საქართველოსა და უკრაინას შორის მსგავსებას ვეძებთ, მსგავსება მხოლოდ ამაშია.

– ბატონო იური, მე მაინც მინდა დაგაზუსტებინოთ, რა პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებას უნდა ველოდოთ საქართველოში, როცა გამოკვეთილი დასავლური ორიენტაციის პარტიამ დატოვა მმართველი კოალიცია?

– მგონია, რომ ეს ამბავი, როცა დაიწყო, მას უფრო შორს მიმავალი მიზანი ჰქონდა...

– როგორ ფიქრობთ, ვისგან დაიწყო?

– კონკრეტულად გამიჭირდება ამის თქმა. მაგალითად, ალასანიამ ძალიან სახიფათო განცხადება გააკეთა ნატოს საჰაერო თავდაცვითი სისტემების საქართველოში განთავსების თაობაზე...

– და ვის შეეშინდა ჩვენს მთავრობაში ამის გამო?

– ვის შეეშინდა არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან შემაშინა ამ ნათქვამმა, როგორც მოქალაქე. არ შეიძლება თავდაცვის მინისტრმა ასეთი რამე დამოუკიდებლად განაცხადოს. ამას ისიც დაემატა, რომ თქვა, ნატოს სასწავლო ცენტრები უნდა გავხსნათო... ასეთმა განცხადებებმა უკიდურესად შეაშფოთა რუსეთი, რომელიც საკუთარ ინტერესებს იცავს. დაიცავს კიდეც. როცა გლობალურ ძალთაგადანაწილებაზეა საუბარი, დამერწმუნეთ, რომ საქართველოს არავინ არაფერს არ შეეკითხება! ალასანიას ჩამოშორებით, არაფერი იცვლება, რადგან, გუნდი, რომელიც ხელისუფლებაშია, გამოდის არა ხალხის, არამედ საკუთარი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებიდან.

საქართველო მოთამაშე გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ ერთგვარ ნეიტრალურ პოზიციას დავიკავებდით და მომწესრიგებლის როლს მოვირგებდით და ვითამაშებდით.

– ნინო ბურჯანაძის კურსი როგორ მოგწონთ?

– არაფერი ანტისახელმწიფოებრივი მის განცხადებებში არ თქმულა. ის ამბობს, რომ არ შეიძლება საქართველო იყოს რუსეთის მუდმივი გამღიზიანებელი და არ შეიძლება, ჩაეწერო მისი მტრების სიაში. ჩვენნაირ ქვეყანას ამის ფუფუნება არა აქვს!

– არადა, 15 ნოემბერი რუსეთისთვის წითელი ნაჭრის ფრიალი იყო...

– არც მაინცდამაინც... რაც უნდა აკეთონ, ნაციონალებს არ გამოუვათ არც მაიდანი და მით უფრო, ხელისუფლებაში დაბრუნება. მათ არა აქვთ რესურსი. ხალხს ისინი სძულს, ხოლო საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე, ვერაფერს გახდებიან. აი, სიტუაციის არევა კი ნამდვილად შეუძლიათ.

პირადად მე, როცა მესმის პროდასავლური, ცუდად ვხდები... პროდასავლური კი არა, პროქართული უნდა იყოს ჩვენი ორიენტაცია! ჩვენ ჩვენი ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ.

– ბატონო იური, თქვენ ოცნების ხელისუფლებაში მოსვლისას ამ გუნდის აქტიური მხარდამჭერი იყავით...

– იმიტომ, რომ, სანამ „ოცნება“ შეიქმნებოდა, მკვეთრად ვეწინააღმდეგებოდი ნაციონალების პოლიტიკას. განსაკუთრებით, 2011 წელს, როცა ჩემი კოლეგა ფოტოგრაფები დაიჭირეს. მე მათ გვერდით დავდექი და საკმაოდ პრინციპულადაც, რაც საკმაოდ სარისკო საქმე იყო... ამიტომაც, მე იდეოლოგიურად თავისთავად აღმოვჩნდი ოცნების მხარეს. თანაც პროგრამაში ერთმნიშვნელოვნად იყო აღნიშნული, რომ საგარეო მიმართულებით რიტორიკა შეიცვლებოდა. ორი წელიწადი გავიდა, მაგრამ შედეგი არ მიგვიღია... თქვენ რა გგონიათ, თუნდაც რუსეთმა რომ თქვას, დაალაგეთ ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთანო, რამე გამოგვივა? არა, რადგან ამ ხალხს ჩვენთან ურთიერთობის არანაირი სურვილი არა აქვს, ჩვენ კი ამ პოზიციის შესაცვლელად არაფერი გაგვიკეთებია. მე 2007 წლის დეკემბერში ჩასული ვიყავი აფხაზეთში და ვიცი, როგორი რადიკალური განწყობები აქვთ ქართველების მიმართ. ახალ ხელისუფლებას უფრო ჰქონდა შანსი ადვილად დალაპარაკებოდა აფხაზებსა და ოსებს... მაგრამ, ჩვენ „ეგრე წოდებულის“ თქმასაც კი ვერ გავცდით. მესმის, რომ იურიდიულად ასე უნდა იყოს, მაგრამ რაღაც სხვა ფორმის გამონახვაც უნდა გვეცადა. ჩვენ ეს ხალხი უნდა ვაღიაროთ, როგორც ერი და პატივი ვსცეთ. „ძმაოს“ წოდება არაფერს ნიშნავს. როცა მეუბნებიან, რომ ჩვენ მათ უკეთეს რამეს ვთავაზობთო, ჟენევაში კი არ უნდა გაახმიანო, არამედ შეხვდი ამ ხალხს და პირდაპირ დაელაპარაკე.

ჩემი აზრით, ამას არ აკეთებენ, ვერ აკეთებენ და არ აკეთებინებენ პატრონები, ასე მგონია. მე რუსეთს ვუყურებ ქვეყანას, რომელიც იცავს თავის მეობას. მას სჭირდება საბჭოდრო ბაზები ამიერკავკასიაში (სხვათა შორის, რუსეთმა საქართველოდან ბაზები გაიყვანა იმ დროს, როცა დასუსტებული იყო და ვერ აცნობიერებდა, რას აკეთებდა). რუსეთზე ყველას კბილი აქვს ალესილი. იქ ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის სულ რაღაც 2 პროცენტი და ამავე დროს, მსოფლიო რესურსების 20 პროცენტის მარაგის მფლობელია. რუსეთს თავის სახელმწიფო ინტერესები აქვს და იცავს, რაც არ არის საძრახისი. და რა, არ უნდა ჰქონდეს?!

ჩვენც უნდა გვქონდეს. რუსეთი არის მეზობელი ქვეყანა, რომელთანაც ეკონომიკური კავშირების გამოყენებით შეგვიძლია, ავაყვავოთ ჩვენი სოფლის მეურნეობა. შეგვიძლია დავაპუროთ ხალხი. ნაციონალები კიდევ გვეუბნებიან, რომ არ წამოვეგოთ რუსულ ანკესს, როგორც კი იქიდან ფული შემოვა, მათზე დამოკიდებული გავხდებითო. ხალხს გაუტკბებაო... კი მაგრამ, მთავარი ეს არის, არა?! ჩვენთვის ის არ უნდა იყოს მთავარი, რომ ხალხმა ამოისუნთქოს, შიმშილი არ იყოს, წელში გაიმართოს ქვეყანა, აყვავდეს? თუ ნატო და ევროკავშირია ჩვენთვის უმთავრესი?!

– რისთვის მოვიდა ივანიშვილი ხელისუფლებაში, თქვენი აზრით?

– ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილმა განახორციელა ამერიკის პროექტი – სააკაშვილის ხელისუფლების რბილი ჩანაცვლებისა, იმ ხალხით, რომლებიც აგრძელებენ ამერიკის ინტერესებს საქართველოში.

თავისუფალია ადამიანი, რომელსაც ფული არა აქვს. როცა ადამიანს მილიარდები აქვს განთავსებული ბანკებში, თავისუფალი ვერ იქნება.

– მე კი პირიქით მგონია. ადამიანი თავისუფალია, როცა ფული აქვს...

– არა, მას ფული ჯიბეში კი არ უდევს, ბანკებში აქვს. ანუ ის დამოუკიდებელი ვერ იქნება. თუმცა, გრძნობს იმასაც, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება. გახსოვთ, ერთხელ თქვა გულწრფელად, რა მოხდება, იქაც ვიყოთ და აქაცო, მაგრამ კინაღამ ჩაქოლეს... ბოდიშები ახდევინეს, ლამის... არადა, მართლა, რა გვჭირს ასეთი, ხალხნო, ვის ვებრძვით და რატომ ვებრძვით, ხომ უნდა გავაცნობიეროთ, არა? რუსები ანგელოზები არ არიან., მაგრამ რომელი ქვეყანაა ანგელოზი, ესენი რომ იყვნენ! მოდით, რეალობას თვალი გავუსწოროთ... რუსეთში 1000-ზე მეტი ქართველი მილიონერია და შეიძლება ამ რესურსის გამოუყენებლობა? ამ კრიჭაში ჩადგომით, აბა, რას მოვიგებთ, იმასაც ვნახავთ! გინდათ, რუსეთუმე მიწოდეთ, გინდათ, პრორუსი, მოკლედ, რაც გინდათ, სანამ სიგიჟეს არ მოვეშვებით, არაფერი გვეშველება. ეს ძალიან რთულია, მესმის, რადგან დასავლეთისგან ნაყიდია ჩვენი პოლიტიკური ელიტა. ამაშიც რუსეთია დამნაშავე, რადგან თავის დროზე დასუსტებულმა ვერ მიხედა საქართველოს. უნდა მიეხედა. იმიტომ, რომ ყველა დიდი ქვეყანა თავის ველს აწესრიგებს.

– გმადლობთ საინტერესო და გულახდილი საუბრისთვის...

ესაუბრა
თეა მოსია

არის, ასრულდა ოცნება,

ალზეკვება და დაცემა ქართველთა 1964–2014

ასე იყო, ასე არის — აღმართს დაღმართი მოჰყვება ხოლმე. სამწუხარო ისაა, ვარდნა რომ ჭიანურდება და წინამორბედთა ჩაყრილი ნერგის გახარება განუსაზღვრელი ვადით გადაიწევს.

ამ დღეებში საქართველოს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი თავკაცი გავისტუმრეთ პენსიაზე — თემურ ქეცბაიამ როგორც თავის დროზე მოსვლით, ისე პოლონელებთან 0:4 ფიასკოს შემდეგ წასვლით გაგვახარა.

ვფიქრობთ, ჩვენი სამამულო ფეხბურთის პირველი ტრიუმფის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღეებშიც უნდა ვუერთგულოთ პრინციპს — მოყვარეს პირში უძრახეო, ამიტომ ნურავინ გაგვაკრიტიკებს, რა დროს თანამედროვე „ჯვაროსანთა“ ნაცოდვილარზე საუბარიაო. დიახ, თუ გვინდა განმეორდეს ტაშკენტი და დიუსელდორფი, სათქმელი ყოველთვის პირუთვნელად უნდა ითქვას. ამით მხოლოდ ქართული ფეხბურთი და მომავალი თაობები მოიგებენ!

თბილისიდან ცხრა მთა გადაიარეს ჩვენმა ოქროს ბიჭებმა, რომ დაეცვათ უზბეკეთის მიწაზე საქართველოს ღირსება!

ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...

რა დაფარული სევდა, ტკივილი და ნაღველია ჩაღვრილი პოეტის ამ სტრიქონებში.

დიდი არც მაშინ ყოფილა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, როდესაც დარუბანდიდან ნიკოფსიამდე იყო გაშლილი, არც მაშინ, როდესაც სულკურთხეული გრიგოლ ხანძთელი ტაო-კლარჯეთში აშენებდა სწორუპოვარ, უმშვენიერეს ტაძრებსა და მონასტრებს, არც მაშინ, როდესაც ქართველთა უპირველესი მეფე დავით აღმაშენებელი მთელ ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის უპირველეს მეციხოვნედ გვევლინებოდა და შიშს ზარს გვრიდა ურჯულოთა მირიადიან არმიებს...

და მაინც, საქართველო დიდი იყო, დიდი იყო თავისი ისტორიული მისიით, დიდი იყო ქართველთა ჯიშის შეუპოვრობით, სიმამაცით, ჭკუით, გონიერებით, წინდახედულობით, სიყვარულისა და ერთგულების ვეება ნიჭით.

დიდი იყო ადამიანური აზროვნებისა თუ საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, იქნებოდა ეს პოლიტიკა, მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, მწერლობა...

გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც სპორტი გახლდათ. ამდენი ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონით საქართველოზე რიცხოვნობით ათჯერ დიდი ბევრი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის. ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად წაუხვალ.

XX საუკუნე, შეღამებების შავბნელი საუკუნე, ქართველობისთვის საბჭოთა იმპერიის მარწუხებში ყოფნის ეპოქა გახლდათ და სპორტი იყო ის თითქმის ერთადერთი ასპარეზი, სადაც ქართველი კაცის ნიჭიერება და თავისთავადობა ვლინდებოდა, რასაც წინ თითქმის ვერანაირ ბარიერს უყენებდნენ საბჭოეთის ვერაგი და გაქნილი ფუნქციონერები.

ასე იყო ფეხბურთშიც, რომელშიც საოცრად გაილაღა ქართველი კაცის სიჩაუქემ, ფანტაზიის უნარმა, გონიერებამ, სისხარტემ — ერთი სიტყვით, ყველაფერმა, რასაც საფეხბურთო ნიჭიერება ჰქვია.

მარტო საქართველო კი არა, სრულიად საფეხბურთო სამყარო ამაყობდა ისეთი დიდებული ფეხბურთელებით, როგორებიც იყვნენ ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, შოთა შავგულიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სხვანი და სხვანი. ისინი ხომ დიდწილად უსწრებდნენ დროს და მომავლის ფეხბურთს თამაშობდნენ.

ტყუილად ხომ არ უწოდეს თბილისის „დინამოს“ პირველ თაობას „დიდი ურუგვაელები“ მათი უზადო ტექნიკისა და შემართების გამო.

ქართული ფეხბურთი ჯიუტად მიიწევდა წინ საფეხბურთო ოლიმპოსაკენ. რას არ აკეთებდნენ საბჭოთა ფეხბურთის იმდროინდელი მამები, რომ ეს ტრიუმფი არ შემდგარიყო. მაგრამ თავსზემოთ ძალა არ ჰქონდათ და 1964 წელი ქართული ფეხბურთის ოქროს წლად იქცა, იმ შემადგენლობის ფეხბურთელები კი ოქროს ბიჭებად.

სწორედ 1964 წელს დაიმსხვრა მითი, რომ საბჭოთა იმპერიის საფეხბურთო ტახტზე მხოლოდ იმპერიის დედაქალაქის — მოსკოვის გუნდები — „დინამო“, „სპარტაკი“, ცსკა უნდა მჯდარიყვნენ...

თბილისის „დინამომ“ იმ წელს შეუძლებელი შეძლო, „დაცალეწა“ საფეხბურთო ბასტიონები და სრულიად დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელშიც მსოფლიო დონის ისეთი კაშკაშა ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც იყვნენ მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი, სერგო კოტრიკაძე და ვლადიმერ ბარქაია, შოთა იამანიძე და გიორგი სიჭინავა...

მათ გვერდით ბრწყინავდნენ ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტი რაინდები ბორის სიჭინავა და ჯემალ ზეინკლიშვილი, ილია დათუნაშვილი და გურამ პეტრიაშვილი.

რა ნიშანდობლივია, რომ ამ ოქროს გუნდის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო გურამ ცხოვრებოვი, ოსი ვაჟკაცი, რომელსაც გულის გულში ჰქონდა ამოჭრილი მისი სამშობლოს — საქართველოს სიყვარული და ამ საოცარ გრძნობას საფეხბურთო მინდორზე უმტკიცებდა ყველას ისე, როგორც წლების შემდეგ ვლადიმერ გუცაევი — ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა.

იმ საოცარ 64-ში ქართული ფეხბურთის ღირსებას იცავდნენ სრულიად ახალგაზრდები ვახტანგ რეხვიაშვილი, ელგუჯა ხუციშვილი, ნოდარ ლეჟავა, ალქსანდრე აფშევი.

ბედის ირონია — აბა სხვა რა შეიძლება დავარქვათ იმ გარემოებას, რომ ჩემპიონთა ოქროს მედლები არ ხვდათ წილად ისეთ დიდ ფეხბურთელებს, როგორნიც გივი ჩოხელი და მურთაზ ხურცილავა იყვნენ. მათ მხოლოდ ტრავმებმა შეუშალა ხელი. თუმცა, როცა იმდროინდელ „დინამოს“ ვიხსენებთ, რა თქმა უნდა, მყისვე მათი კოლორიტული, სწორუპოვარი სახეები წარმოგვიდგება ხოლმე.

ავთანდილ ღოღობერიძე, ჩვენი ბასა, ქართული ფეხბურთის სინდის-ნამუსი იმ „დინამოს“ უფროსი გახლდათ და ლომის წილიც დაიდო იმ ტრიუმფში.

გუნდის მთავარი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი იყო, მაგრამ მასთან ერთად როგორ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მიხაილ იაკუშინი. სწორედ ამ ორმა ადამიანმა შექმნა ის გუნდი, რომელსაც წინ ვეღარავინ დაუდგა...

და მაინც მტკიცედ მწამს, რომ თუ არა ერთი ადამიანის ათწლეულობით გაწეული გარჯა, ალღო და უნარი მოთამაშეების მოძებნისა თუ შერჩევისა, ეს ტრიუმფი არ შედგებოდა. ეს პიროვნება კი ანდრო ჟორდანია გახლდათ, „დიავოლა“, რომლის ბადალი მწვრთნელი საქართველოს მხოლოდ ნოდარ ახალკაცი თუ ჰყავდა.

აი, ასეთი გუნდი გვყავდა, ტალანტებით დახუნძლული გუნდი, იმ ტალანტებით, რომლებითაც დღევანდელი მსოფლიო საფეხბურთო ნებისმიერი გრანდი მოიწონებდა თავს და არნახულ თანხას გადაიხდიდა მათ გადასაბირებლად...

შეიძლება ვიღაცას გაეცინოს დღევანდელ საქართველოში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა რა მოსატანია, რატომ გამოგვიჭედეთ ყურებიო.

მათ გასაგონად უნდა ითქვას, რომ, ჯერ ერთი, ის დიდებული გამარჯვება უთანასწორო ბრძოლაში იყო მოპოვებული. იმდროინდელი დინამოელები არენაზე გასული გლადიატორებივით იბრძოდნენ არამარტო საფეხბურთო მოწინააღმდეგეების, არამედ მთელი იმპერიის წინააღმდეგ, იმპერიის დაბოღმილი და გავეშებული ფუნქციონერების წინააღმდეგ. რა გამწარებული აკნინებდა ჩვენს დიდებულ გამარჯვებას „მოსკოვსკი კომსომოლეცი“, რუსი შავრაზმელების შავრაზმული გაზეთი, ტაშკენტში გამართულმა ერთმა შეხვედრამ გადაწონა მოსკოვის ტორპედოელთა მთელი წლის განმავლობაში გაწეული გარჯაო, ვითომ თბილისელებს იგივე გზა არ ჰქონდათ გავლილი.

ასე იყო თუ ისე, თბილისის „დინამომ“ 1964 წელს ღრმა და დაუვიწყარი კვალი გაავლო ფეხბურთში, რომლითაც მუდამ იამაყებს საქართველო და ქართველი ხალხი.

დიდი მადლიერებისა და მოწიწების გრძნობით უნდა მოვიხსენიო ამ წიგნის შემდგენელი ბატონი დემიკო ლოლაძე, მრავალმხრივი ნიჭის მქონე შემოქმედი, ქართული ფეხბურთის მგზნებარე ისტორიკოსი და მემატიანე, ქართული ფეხბურთის ბრწყინვალე ვარსკვლავებისადმი მიძღვნილი ასევე ბრწყინვალე წიგნების ავტორი... უკვე ანგარიშიც კი ამერია, მერამდენე წიგნია ეს მშვენიერი კრებული მის მიერ ხელდასხმული. ერთი კი ვიცი, რომ არა მისი ჩუმი, უხმაურო საქმიანობა ქართული ფეხბურთის სადიდებლად, ბევრი რამ უკვე კარგა ხნის მტვერწაყრილი იქნებოდა.

დიდ მადლობას მოვახსენებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ზვიად სიჭინავას იმ უანგარო დახმარებისთვის, რაც მან ამ კრებულის ავტორს გაუწია იმ საშვილიშვილო საქმეში, რასაც ჩვენი დიდებული წარსულის გაცოცხლება ჰქვია. ბატონი ზვიადი „შემჩნეულია“ მსგავსი ქველმოქმედებით და იმედია მისი უანგარო შემწეობით კიდევ არაერთი საშვილიშვილო პროექტი განხორციელდება...

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ის შორეული 1964 წელი მთლიანად და განსაკუთრებით კი 18 ნოემბრის ტაშკენტური მატჩი ქართული ფეხბურთის დიდგორი გახლდათ და ჩვენი ქართული ფეხბურთის ახალგაზრდა თაობამ სწორედ ის ოქროს გუნდი უნდა გაიხადოს ორიენტირად, თუკი კვლავაც გვინდა ამაყად ფრიალებდეს ქართული ბაირაღები მსოფლიოს სტადიონებზე.

ზაალ ბოტკოველი

(დემიკო ლოლაძის ახალი წიგნის „ქართული ფეხბურთის დიდგორი“ წინასიტყვაობა).

მათ ქართული ფეხბურთის დიდგორი მოიგეს

ანდრო ჟორდანია

დაიბადა 1904 წლის 22 ოქტომბერს (4 ნოემბერს) ლანჩხუთში. ფეხბურთის თამაში დაიწყო 1918 წელს თბილისში, სკოლის გუნდში. 1922-24 წლებში გამოდიოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში, 1922-28, 31 წლებში თბილისის ნაკრებში, 22-28 წლებში საქართველოს ნაკრებში. 22-28, 30-31 წლებში ამიერკავკასიის ნაკრებში, 1925-28 წლებში თბილისის „დინამოში“, 1929 წელს დნეპროპეტროვსკის „დინამოში“, დნეპროპეტროვსკის ნაკრებში, უკრაინის ნაკრებში. 32-35 წლებში ივანოვოს „დინამოში“ (გუნდის კაპიტანი), 36-37 წლებში ივანოვოს „სპარტაკში“, 38-40 წლებში ივანოვოს „ოსნოვაში“. 1923-24 წლების სსრკ ჩემპიონატების მონაწილე, 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადის მონაწილე. 1931 წელი სსრკ ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, სსრკ ნაკრების წევრი 1931 წელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი 1947 წელი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი 1960 წელი. ივანოვოს „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი 1931-37 წლები. ივანოვოს „ოსნოვას“ უფროსი მწვრთნელი 1938-41 წლები (ივლისი). თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი 1945 წელი (აგვისტოდან), 1946 წელი (ივლისიდან) — 1947-55 წლები. 1955 წლის (აგვისტო), 1959-61 წელი (ივნისი) წლები. თბილისის „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი 1948-51 წლები. ივანოვოს „კრასნოე ზნამიას“ უფროსი მწვრთნელი 1952-54 წლებში. თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის მთავარი მწვრთნელი 1955 (სექტემბერი) და 1956 წლები. ქუთაისის „ლოკომოტივის“ უფროსი მწვრთნელი 1957-58 წლები. თბილისის „ლოკომოტივის“ უფროსი მწვრთნელი 1962 წელი. ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი 1964 (ივნისი), 65 წლის (მაისი). ტყიბულის „მეშახტის“ უფროსი მწვრთნელი 1966 (ივლისი) — 1967 (ივნისი). მისი ხელმძღვანელობით ივანოვოს „ოსნოვამ“ მოიპოვა რსფსრ თასი 1940 წელი. თბილისის „დინამო“ გავიდა სსრკ თასის ფინალში 1946, 1960 წლები. თბილისის „დინამო“ სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა 1946-1947-1959 წლებში. თბილისის „სპარტაკი“ უმაღლეს ლიგაში გადავიდა 1949 წელს. როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილე დაჯილდოვდა საბრძოლო ორდენებით. ყოველწლიურად საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი ჯილდოვდება მისი სახელობის პრემიით. გარდაიცვალა 1974 წლის 25 აპრილს თბილისში.

მიხეილ იაკუშინი

დაიბადა 1910 წლის 2 (15) ნოემბერს მოსკოვში. სსრკ ჩემპიონი 1936 (გაზაფხული), 1937-1940 წლები. სსრკ თასის მფლობელი 1937 წელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი 1940 წელი. სსრ დამსახურებული მწვრთნელი 1957 წელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი 1977 წელი. თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი 1950 (აგვისტო) — 1953 (აგვისტო), (1962 ივნისი — 1964 აპრილი), (1974 წლის აგვისტო — 1975 წლები). დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშისა (1957 წელი) და მეგობრობის (1956 წლები) ორდენებით. გარდაიცვალა 1997 წლის 3 თებერვალს მოსკოვში.

არის, ასრულდა მიზანი

გავრილ კაჩალინი

დაიბადა 1911 წლის 4 (17) იანვარს მოსკოვში. სსრკ ჩემპიონი 1937, 1940 წლები. სსრკ თასის მფლობელი 1937 წელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი 1950 წელი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი 1956 წელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი 1964 წელი. თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი 1964 წელი (აპრილიდან), 1965, 1971-1972 წლები. დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშისა (1957) და ხალხთა მეგობრობის (1981) ორდენებით. გარდაიცვალა 1995 წლის 23 მაისს მოსკოვში.

ავთანდილ ღოღობერიძე

დაიბადა 1922 წლის 3 აგვისტოს სოხუმში. 1943-1961 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატების 341 შეხვედრაში გაიტანა 127 ბურთი. სსრკ ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორი 1951, 1953 წლები. სსრკ ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი — 1946, 1947, 1950, 1959 წლები. სსრკ თასის ფინალისტი 1946 წელი, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი 1951-1960 წლები. სსრკ თასზე 29 შეხვედრაში გაიტანა 12 ბურთი. 62 საერთაშორისო შეხვედრაში გაიტანა 21 ბურთი. სპორტის დამსახურებული ოსტატი 1951 წელი, გ. ფედოტოვის კლუბის წევრი (143 ბურთი), დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის (2001 წელი) და შრომის წითელი დროშის (1957 წელი) ორდენებით. გარდაიცვალა 1980 წლის 20 ნოემბერს თბილისში.

ალიოშა კოტრიკაძე

დაიბადა 1930 წლის 3 დეკემბერს თბილისში. 1952-1959 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატების 122 შეხვედრაში გაიტანა 11 ბურთი. სსრკ 1953 წლის ჩემპიონატის ვერცხლისა და 1959 წლის ბრინჯაოს პრიზიორი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი 1966 წელი. თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი 1966, 1973 წლები. გარდაიცვალა 1998 წლის 19 აგვისტოს თბილისში.

შოთა იამანიძე

დაიბადა 1937 წლის 15 მარტს თბილისში. 1954-1967 წლებში გამოდიოდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატებში ჩაატარა 300 მატჩი და გაიტანა 66 ბურთი. 70 საერთაშორისო შეხვედრაში გაიტანა 20 ბურთი. სსრკ 1964 წლის ჩემპიონი, ბრინჯაოს პრიზიორი (1959, 1962, 1967 წლები). სსრკ თასის ფინალისტი (1960 წელი). თბილისის „დინამოს“ კაპიტანი 1961-1967 წლები. სსრკ ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი 1956 წელი. სპორტის დამსახურებული ოსტატი 1969 წელი. დაჯილდოვდა მედლით შრომითი მამაცობისთვის 1966 წელი და მეორე ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ) 2002 წელი. გარდაიცვალა 1971 წლის 15 ოქტომბერს თბილისში.

სერგო კოტრიკაძე

დაიბადა 1936 წლის 9 აგვისტოს თბილისში. სსრკ ჩემპიონატებში ჩაატარა 260 შეხვედრა. „დინამოში“ 240. სსრკ თასზე ჩაატარა 16 შეხვედრა. მონაწილეობდა 58 საერთაშორისო შეხვედრაში. სსრკ ჩემპიონი 1964 წელი და ბრინჯაოს პრიზიორი 1959, 1962, 1967 წლები. სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი 1960 წელი, სსრკ საუკეთესო მეკარე 1962 წელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი 1969 წელი. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე სსრკ ნაკრების შემადგენლობაში 1962 წელი, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით 1996 წელი. გარდაიცვალა 2011 წლის 3 მაისს სტოკჰოლმში.

ბორის სიჭინავა

დაიბადა 1936 წლის 28 ოქტომბერს ზუგდიდში. თბილისის „დინამოში“ თამაშობდა 1958-1967 წლებში. სსრკ ჩემპიონატების 240 შეხვედრაში გაიტანა 6 ბურთი. სსრკ თასზე ჩაატარა 17 შეხვედრა, მონაწილეობდა 55 საერთაშორისო შეხვედრაში (1 ბურთი), სსრკ ჩემპიონი (1964) წელი და ბრინჯაოს პრიზიორი (1962, 1967) წლები, სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი 1960 წელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი 1998 წელი. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, გარდაიცვალა 2011 წლის 16 მაისს თბილისში.

ვახტანგ რეხვიაშვილი

დაიბადა 1944 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში. 1964-1970 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატების 132 შეხვედრაში გაიტანა 3 ბურთი. სსრკ თასზე ჩაატარა 8 შეხვედრა. მონაწილეობდა 29 საერთაშორისო შეხვედრაში (1 ბურთი), სსრკ ჩემპიონი 1964 წელი, სსრკ ჩემპიონი სათადარიგო შემადგენლობებს შორის 1964 წელი, გარდაიცვალა 1986 წლის თებერვალში.

ჯემალ ზეინკლიშვილი

დაიბადა 1937 წლის 19 დეკემბერს ბორჯომში. 1959-1965 წლებში (აგვისტომდე) თამაშობდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატების 170 შეხვედრაში გაიტანა 6 ბურთი. სსრკ თასზე ჩაატარა 14 შეხვედრა. მონაწილეობდა 35 საერთაშორისო შეხვედრაში. სსრკ ჩემპიონი 1964 წელი და ბრინჯაოს პრიზიორი 1959, 1962 წლები. სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი 1960 წელი. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გარდაიცვალა 2011 წლის 29 აგვისტოს ბორჯომში.

გურამ ცხოვრებოვი

დაიბადა 1938 წლის 14 ივლისს სტალინირში, დღევანდელი ცხინვალი. 1957 და 1964-1970 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატების 208 შეხვედრაში გაიტანა 6 ბურთი. სსრკ თასზე ჩაატარა 12 შეხვედრა. მონაწილეობდა 16 საერთაშორისო შეხვედრაში. სსრკ ჩემპიონი 1964 წელი. სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი 1967 წელი. სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი 1970 წელი. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით (1996 წელი). გარდაიცვალა 1999 წელს ცხინვალში.

გურამ პეტრიაშვილი

დაიბადა 1941 წლის 8 მარტს ზესტაფონში. 1961-1965 (ივლისამდე) და 1966-1973 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატების 281 შეხვედრაში გაიტანა 13 ბურთი. სსრკ თასზე ჩაატარა 26 შეხვედრა (2 ბურთი). მონაწილეობდა 45 საერთაშორისო შეხვედრაში. სსრკ ჩემპიონი 1964 წელი, სსრკ ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი 1967, 1969, 1971 და 1972 წლები. სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი 1970 წელი. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გარდაიცვალა 2002 წლის 18 თებერვალს თბილისში.

გიორგი სიჭინავა

დაიბადა 1942 წლის 17 სექტემბერს გაგრაში. 1960-1969 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატების 162 შეხვედრაში გაიტანა 8 ბურთი. სსრკ თასზე ჩაატარა 10 შეხვედრა (1 ბურთი). მონაწილეობდა 32 საერთაშორისო შეხვედრაში (1 ბურთი). სსრკ ჩემპიონი 1964 წელი და ბრინჯაოს პრიზიორი 1962 წელი. სსრკ ნაკრების წევრი 1964-1968 წლები. მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტი 1966 წელი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით 2002 წელი.

1964 წლის 18 ნოემბერი...
ამ დღეს უზბეკეთის დედაქალაქი ფაფკენჯიჩვენი შეხვედრის დედაქალაქად გადაიქცა. აქ, „პახტაკორის“ სტადიონზე, 1964 წლის სსრკ-ის ჩემპიონის გამოსაღინებლად თბილისის დინამოელებსა და მოსკოვის სპრავედოელებს შორის დაინიშნა დამაჯებითი მატჩი.
მატჩის დაწყებამდე რამოდენიმე საათით ადრე სტადიონი მაყურებლებით გაივსო. შეხვედრის მოყვარულები ტრიბუნებზე მოვიდნენ ტრანსპარანტებით. სნორად ერთ-ერთი ტრანსპარანტი ელბეჭდილია ამ სურათზე.

ვლადიმერ ბარძაია

დაიბადა 1937 წლის 29 ივლისს გაგრაში. 1957-1967 წლის ივნისამდე თამაშობდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატების 225 შეხვედრაში გაიტანა 67 ბურთი. სსრკ თასზე ჩაატარა 17 თამაში (9 ბურთი). მონაწილეობდა 53 საერთაშორისო შეხვედრაში (31 ბურთი). სსრკ ჩემპიონი 1964 წელი და ბრინჯოს პრიზიორი 1959, 1962 წლები. სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი 1960 წელი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით 1997 წელი.

სლავა მეტრეველი

დაიბადა 1936 წლის 30 მაისს სოჭში. 1963-1971 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“, სსრკ ჩემპიონატების 375 შეხვედრაში გაიტანა 83 ბურთი. აქედან თბილისის „დინამოში“ 237 (52). სსრკ ორგზის ჩემპიონი 1960, 1964 წლები. ვერცხლის პრიზიორი 1957, 1961 წლები. ბრინჯაოს პრიზიორი 1967, 1969 წლები. სსრკ თასის მფლობელი 1960 წელი. ფინალისტი 1958, 1961, 1970 წლები. თბილისის „დინამოს“ კაპიტანი 1967-1971 წლები. სსრკ ნაკრებში 48 მატჩში გაიტანა 11 ბურთი. სსრკ ნაკრების კაპიტანი 1965 წელი. ევროპის თასის გამარჯვებული 1960 წელი. გ. ფედოტოვის სახელობის კლუბის წევრი 113 გოლი, ფიფას ნაკრების წევრი 1968 წელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი 1960 წელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი 1976 წელი. დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის (1966) და ღირსების (1996) ორდენებით. გარდაიცვალა 1998 წლის 7 იანვრს თბილისში.

მიხეილ მესხი

დაიბადა 1937 წლის 12 იანვარს თბილისში. 1954-69 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“, სსრკ ჩემპიონატების 285 შეხვედრაში გაიტანა 53 ბურთი. სსრკ თასის გათამაშების 18 შეხვედრაში გაიტანა 5 ბურთი. მონაწილეობა მიიღო 53 საერთაშორისო შეხვედრაში (18 ბურთი). საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 1964 წელი. ბრინჯაოს პრიზიორი 1959, 1962, 1967 წლები. სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი 1960 წელი, სსრკ ნაკრებში 1959-1966 წლებში ჩაატარა 35 შეხვედრა (4 ბურთი). ევროპის თასის გამარჯვებული 1960 წელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი 1965 წელი, 1998 წელს გაზეთ „სარბიელის“ გამოკითხვით დასახელებულ იქნა საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად. დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით 1966 წელი და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ) 1999 წელი. 2004 წლის 9 აგვისტოს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონს მიენიჭა მიხეილ მესხის სახელი. გარდაიცვალა 1991 წლის 22 აპრილს თბილისში.

ილია დათუნაშვილი

დაიბადა 1937 წლის 1 სექტემბერს ქობულეთში. 1959-1968 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. სსრკ ჩემპიონატების 199 შეხვედრაში გაიტანა 46 ბურთი. მონაწილეობდა 38 საერთაშორისო შეხვედრაში (10 ბურთი). სსრკ ჩემპიონი 1964 წელი და ბრინჯაოს პრიზიორი 1962, 1967 წლები. სსრკ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი 1966 წელი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ალექსანდრე აფშევი

დაიბადა 1939 წელს ნალჩიკში. 1964 წელს თამაშობდა თბილისის „დინამოში“, სადაც 18 შეხვედრაში გაიტანა 2 ბურთი. დაკრძალულია ნალჩიკში.

მურთაზ ხურცილავა

დაიბადა 1943 წლის 5 იანვარს მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში. სსრკ ჩემპიონატებში ჩაატარა 302 შეხვედრა, აქედან თბილისის დინამოში 293 (გაიტანა 15 ბურთი), თასის 32 (1) და 47 საერთაშორისო შეხვედრა (5 ბურთი), მათ შორის ევროთასების 6. სსრკ ჩემპიონატების ხუთგზის ბრინჯაოს პრიზიორი — 1964, 1967, 1969, 1971 დ 1972 წლებში. სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი — 1970. თბილისის „დინამოს“ კაპიტანი 1971-1975 წლები. სსრკ და ოლიმპიურ ნაკრებებში (1963-1975 წლებში) ჩაატარა 74 ოფიციალური შეხვედრა, გაიტანა 7 ბურთი. მსოფლიო ჩემპონატის ბრინჯაოს პრიზიორი 1966 წელი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი 1972 წელი, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი 1972 წელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი 1969 წელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი 1994 წელი. 1995 წელს დაასახელეს საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად და გახდა ანდრო ჟორდანიას სახელობის პრემიის ლაურეატი. 1958 წელს იგი აღიარეს საქართველოს საუკუნის საუკეთესო მცველად. 2003 წელს დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური ორდენით, ხოლო 1997 წელს ღირსების ორდენით. უეფას 50 წლისთავთან დაკავშირებით დაასახელეს 1954-2004 წლების საუკეთესო ფეხბურთელად.

ნოდარ ლეჟავა

დაიბადა 1940 წლის 1 აპრილს თბილისში. 1962-1964 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“. ჩაატარა სსრკ ჩემპიონატების 18 შეხვედრა, საკავშირო თასის გათამაშების 2 შეხვედრა და მონაწილეობდა 5 საერთაშორისო შეხვედრაში. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი 1981 წელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი 1985 წელი.

ყაზახეთის პირველი პრეზიდენტი

მიმდინარე წლის 1 დეკემბერს რესპუბლიკა პირველი პრეზიდენტის დღეს აღნიშნავს

ის, რომ ქართველ მკითხველს აქვს შესაძლებლობა, მშობლიურ ენაზე გაეცნოს ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის წიგნს – „მსოფლიოს ეპიცენტრი“, ხოლო მიმდინარე წლის ბოლოსთვის მიიღოს ამ ავტორის კიდევ ერთი ნაწარმოები – „გ.გლობალ – XXI საუკუნის მსოფლიო“, ერთგვარად ნიშნული მოვლენაა. პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამფუძნებლისადმი, ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტისადმი უტყუარი და მარადმზარდი ინტერესი მსოფლიოში ძალიან მაღალია. ბუნებრივია, რომ საქართველოშიც ნურსულთან ნაზარბაევი – ქვეყნის უცვლელი ლიდერი 1990 წლიდან, „ყაზახეთის გზის“ არქიტექტორი, რომელმაც მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენი მეგობრული ქვეყანა მიიყვანა ჭეშმარიტ აყვავებამდე, სარგებლობს დიდი ნდობითა და პატივისცემით.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნურსულთან ნაზარბაევის პიროვნების შეფასება, რომელიც მას მისცა თანამედროვეობის გამოჩენილმა პოლიტიკოსმა მარგარეტ ტეტჩერმა, ვისაც პირადი ურთიერთობა ჰქონდა ყაზახეთის მეთაურთან. იგი წერდა: „ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნისგან განსხვავებით, ყაზახეთს არ განუცდია გაურკვევლობის მდგომარეობა, ძალადობა ან მასობრივი მღელვარებანი. ქვეყანამ წარმატებით შეძლო თავი აერიდებინა ეთნოსთაშორისი კონფლიქტების და პოლიტიკური დესტაბილიზაციის აფეთქებებისთვის. დღეს ყაზახეთი – აქტიურად განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანაა: სახელმწიფო საწარმოები პრივატიზებულია, მცირე ბიზნესმა მიიღო სათანადო მხარდაჭერა, ყალიბდება „ახალი“ საშუალო კლასი. ქვეყნის ყოველივე ამ მიღწევის უკან არის პრეზიდენტ ნაზარბაევის უნარიანი მართვა და გაბედულება. როდესაც კომუნიზმის ნანგრევებში მოჰყვა, ყაზახეთმა შეძლო, აეგო თავისი ეროვნული იდენტურობის პოლიტიკური განვითარება და ჩამოყალიბება“.

გაბედულება, გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა ყაზახეთის ლიდერის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეობის მართლაც ყველაზე განმასხვავებელი ხაზია, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გლობალური ხასიათისა.

ასე იყო, როდესაც 1991 წლის 29 აგვისტოს დაიხურა სემიპალატინსკის საცდელი ბირთვული პოლიგონი. ამით ნურსულთან ნაზარბაევი შევიდა ისტორიაში, როგორც თანმიმდევრული პოლიტიკოსი, რომელმაც კოლოსალური პიროვნული წვლილი შეიტანა პლანეტა დედამიწის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში დამანგრეველი იარაღისგან. ამასთან დაკავშირებით თავის წიგნში „მსოფლიოს ეპიცენტრი“ ის წერს: „...ჩვენ გამოვდევნეთ ჩვენი ბირთვული შიში და მისგან გავათავისუფლეთ ყველა, ვისაც ამით ვაშინებდით ჩვენი მხრიდან... ჩვენ ავაგეთ ქვეყნის ახალი უბირთვო ისტორია – საფუძველი ჩავუყარეთ ახალ თხრობით ტრადიციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ავმაღლდეთ მსოფლიო საფრთხეზე“.

აი, უკვე 20 წელზე მეტია ყაზახეთი უჩვენებს მსოფლიოს თავის მიდრეკილებას – გადაჭრას წარმოქმნილი საერთაშორისო კონფლიქტები მშვიდობიანი გზით, რომელიც გამორიცხავს რაიმე იარაღის გამოყენებას. ამის დადასტურება გახდა ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ.ა.ნაზარბაევის ახალი ინიციატივები ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და უბირთვო მსოფლიოს შექმნის შესახებ, რომელიც გაისმა ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების გლობალური სამიტის ტრიბუნიდან.

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში „მსოფლიოს ეპიცენტრი“ ფონდ „ბირთვული საფრთხის შემცირების ინიციატივის თანათავმჯდომარე,“ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სენატორი სემ ნანი წერდა: „მსოფლიოს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ეს თარიღი, რომელიც გახდა შემობრუნების თარიღი არა მხოლოდ ყაზახი ხალხისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც. თავის არჩევანში ნაზარბაევი ემყარება როგორც ლოგიკას, ისე ემოციას. ეს იყო მისი პასუხი ყაზახი ხალხის მზარდ ზიზღზე დაავადებებისა და ეკოლოგიური უბედურებებისადმი, რაც გამოწვეული იყო სემიპალატინსკის პოლიგონით, აგრეთვე მისი განსჯის შედეგი იმის შესახებ, თუ რა ახალი საფრთხეები ელოდება ყაზახეთს, თუკი იგი გადაწყვეტს შეინარჩუნოს დანგრეული საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა. პრეზიდენტი ნაზარბაევი იქცეოდა ისე, როგორც მას გული უკარნახებდა, და გვიჩვენა თუ როგორ უნდა იაზროვნო ახლებურად ბირთვულ ეპოქაში. ეს წიგნი შეიცავს მნიშვნელოვან გაკვეთილებს მკითხველისა და მთელი მსოფლიოსთვის“.

დღეს მსოფლიო საუბრობს „ყაზახეთის გზის“ შესახებ, როგორც ტრანსფორმაციის უნიკალურ გამოცდილებაზე ყაზახეთის მოკლე ისტორიულ ვადაში, ქვეყნისა, რომელიც იქცა განვითარებულ თანამედროვე ეკონომიკურ ქვეყნად, რომელიც ძლიერია პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტებით, იქცა ქვეყნად ერთაშორისი შეთანხმებისა და პოლიტიკური სტაბილურობისა საზოგადოებაში. ამ გზის რთული და ნათელი მომენტების შესახებ ყაზახეთის უახლოეს ისტორიაში გვიამბობს ნურსულთან ნაზარბაევის წიგნი „ყაზახეთის გზა“. ყოველი მისი თავი (ასეთი ცხრა თავია) გვიამბობს ნიშნულ ნაბიჯებზე ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე. ეს არის მუშაობა ყაზახეთის განვითარების სტრატეგიაზე 2030 წლამდე, ქვეყნის მოქმედი კონსტიტუციის მიღების პროცესი, ნავთობის რესურსების ათვისების დასაწყისი, ეროვნული ვალუტის შემოღება და წარმატებული საბანკო სისტემის შექმნა. ცალკეულ თავებში გაშუქებულია პრივატიზაციისა და მიწის რეფორმის განხორციელების პროცესი, მოთხრობილია დედაქალაქის ასტანაში გადატანის პროცესის და პირველი ყაზახის გაფრენის შესახებ კოსმოსში. წიგნი ჩაფიქრებული იყო, როგორც პრეზიდენტის მიმართვა ქვეყნის ახალგაზრდობისადმი და იგი მართლაც იქცა სამაგიდო წიგნად ყაზახეთის ლიდერების ახალი თაობისთვის.

სწორედ ყაზახეთის ძლიერი გარღვევა მსოფლიოს ცნობილი სახელმწიფოების რიგებში, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური შედეგებისა და პოლიტიკური წონის წყალობით, საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ „ყაზახური გზის“ შესახებ – ეს არის სიღრმისეული პოტენციალის სრული გახსნა იმ ხალხისა, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება, შეიქმნა ეროვნული რწმენა.

ნურსულთან ნაზარბაევი აღნიშნავდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის აკვანი გახდა ალმათი. მისი სიტყვებით, მომავლის აკვანი არის ასტანა, ყაზახეთის ახალი დედაქალაქი. საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ თავის დროზე შენიშნა, რომ ასტანა ყაზახეთის დიდი მიღწევების ფუტურისტული სიმბოლოა. გხიბლავს სარკოზის სიტყვები თავისი სიზუსტით.

ეს ქალაქი, რომელიც 10-15 წლის განმავლობაში გაჩნდა თოვლით დაფარულ, ყინულოვან და ძლიერ ქაროვან სტეპებში, გაოცებს არა მხოლოდ თამამი ხაზებითა და მოცულობითი არქიტექტურული შენობებით. უნებლიეთ უფიქრდები ყაზახეთის გზის ხასიათს, ლიდერების პოლიტიკური ნების მნიშვნელობას და ხალხის იშვიათ შრომისმოყვარეობას, რომლის ნდობის კრედიტის გარეშეც შეუძლებელი იყო ასტანის აგება.

როდესაც ამ გზას იწყებდნენ, ყაზახეთში გადაწყვიტეს ორიენტაცია აეღოთ სამხრეთ-აღმოსავლეთ „ვეფხვებზე“. მაგრამ გაირკვა, რომ ქვეყანამ შეძლო, გაეზარდა მნიშვნელოვანი მიღწევები. 20 წლის განმავლობაში შინაგანი მთლიანი პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ყაზახეთში 16-ჯერ გაიზარდა. თუ 1993 წელს იგი 700 დოლარს შეადგენდა, დღეს ქვეყანამ მიაღწია 13,5 ათასზე მეტი დოლარის მაჩვენებელს. ნაზარბაევი იხსენებს, რომ, როდესაც 1993 წელს ყაზახეთში გადაწყვიტეს, შემოეღოთ ეროვნული ვალუტა, ეროვნულ ბანკს უნდა ჰქონოდა უზრუნველყოფის ფული. „ჩვენ მაშინ არ გვქონდა 500 მილიონი დოლარი, რაც საშუალებას მოგვცემდა დაგვენერგა ეროვნული ვალუტა“, – თქვა მან. დღეს კი ეროვნული ბანკის რეზერვები ეროვნული ფონდის აქტივებთან ერთობლიობაში 80 მილიარდ დოლარს უახლოვდება.

დამახასიათებელია, რომ, მიუხედავად მიღწევებისა, ყაზახეთის ლიდერი დღეს ძირითად აქცენტს აკეთებს მიმდინარე ასწლეულის მთავარ გამოწვევებზე. ეს არის – ახალი ტექნოლოგიური რევოლუცია, ახალი ეკონომიკური მსფოლიო მოწყობის საფუძვლები, შიმშილისა და ეპიდემიის საფრთხეები, სუფთა წყლისა და ნაყოფიერი მიწების უკმარისობა. „ეს მოვლენები რეალურია რეგიონებისთვის მზარდი მოსახლეობით, ეს შეგვეხება ჩვენც“, – აღნიშნავს ნურსულთან ნაზარბაევი და ამავე დროს მოგვიწოდებს, „ზუსტად ვიცოდეთ, თუ რა წყაროები უზრუნველყოფენ და განამტკიცებენ ჩვენს დამოუკიდებლობას დღეს და სამომავლოდ“.

ამიტომ, ვფიქრობ, ბუნებრივი იყო, რომ 2011 წლის 14 დეკემბერს კანონში „ყაზახეთის რესპუბლიკაში დღესასწაულების შესახებ“ შეიტანეს დამატება, რომლის თანახმადაც რესპუბლიკაში დამკვიდრდა სახელმწიფო დღესასწაული – ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის დღე. აღნიშნული დღესასწაულის ზეიმის დღის დაწესება – 1 დეკემბერი– შემთხვევითი როდია. ხომ სწორედ ამ დღეს 1991 წელს გაიმართა ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი პირდაპირი არჩევნები, რომელზეც აირჩიეს ნურსულთან აბიშის ძე ნაზარბაევი.

ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამფუძნებელია, რომელიც უზრუნველყოფს მის ერთიანობას, კონსტიტუციის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 46-ე მუხლში შეიტანეს დამატება იმის შესახებ, რომ ყაზახეთის პირველი პრეზიდენტის სტატუსი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება რესპუბლიკის კონსტიტუციით და კონსტიტუციური კანონით. ამ ნორმის რეალიზაციისთვის მიღებული იქნა საკონსტიტუციო კანონი „ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა ყაზახეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა მემკვიდრეობითობის ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ და დემოკრატიულ გარდაქმნათა უზრუნველსაყოფად. 2010 წელს, უტყუარი პატივისცემისა და ნდობის გათვალისწინებით ყაზახი ხალხის მხრიდან, აღნიშნულ საკონსტიტუციო კანონში შეიტანეს ცვლილებები, რომელთა თანახმადაც ყაზახეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ერის ლიდერია.

2011 წელს ყაზახეთის დამოუკიდებლობის 20 წლისთავის ზეიმის ერთ-ერთი დამამახსოვრებელი მოვლენა გახდა ასტანაში ტრიუმფალური თაღის – „მენგილიკ ელის“ გახსნა.

თაღის სიმაღლე 20 მეტრია, რომელიც წარმოადგენს ყაზახეთის დამოუკიდებლობის 20 წლისთავის სიმბოლოს. მის საძირკველში რკინა-ბეტონი და ჩალისფერი მარმარილოა. ეს არის ყაზახური სტეპის ფერი და იურტის ქეჩის ფერი. ყოველი მხარის საძირკველში არის მოცულობითი ქანდაკებანი, რომელთა სიმაღლეც თითოეულისა 4,4 მეტრია. მაღლაა სამზერი მოედანი, საიდანაც შეგიძლია თვალყური გაადევნო გახსნილ პანორამას.

ქვეყანაში პირველი ტრიუმფალური თაღი – თანამედროვე ყაზახეთისა და მისი ხალხის ახალი სიმბოლოა, რომელმაც განახორციელა მრავალსაუკუნოვანი ოცნება თავისუფლებისა და სუვერენიტეტის შესახებ. შემთხვევითი როდია, რომ იგი აიგო ასტანაში, მომავლის აკვანში... მომავლისკენაც არის მიმართული ყაზახეთის პრეზიდენტის წიგნი – „გ-გლობალი – XXI საუკუნის მსოფლიო“. ყაზახეთის ინიციატივა – „გ-გლობალი“, როგორც წიგნშია აღწერილი, ემყარება ხუთ პრინციპს. ესენია: „ევოლუცია და პოლიტიკაში რევოლუციურ ცვლილებებზე უარის თქმა“, „სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა, კონსენსუსი“, „გლობალური ტოლერანტობა და ნდობა“, „გლობალური ტრანსპარანტულობა“, „კონსტიტუციური მრავალპოლარულობა“.

ყაზახეთი, რომელიც მიმდინარე წლის 1 დეკემბერს აღნიშნავს პირველი პრეზიდენტის დღეს, მომავლისკენ იმზირება...

კოტე სირგილაძე

დედამიწის ზურგზე

სიდნეიში გამოსვლის დროს მერკელმა გააფრთხილა დასავლეთი რუსეთთან უკრაინის გამო ხანგრძლივი ბრძოლის შესახებ

„ვის შეეძლო, ეფიქრა, რომ ბერლინის კედლის დაცემიდან 25 წლის შემდეგ, ცივი ომის დამთავრების შემდეგ, მას შემდეგ, რაც დასრულდა ევროპისა და მსოფლიოს განხეთქილება, კვლავ რაღაც ამგვარი მოხდება ევროპის შუაგულში“, – თქვა კანცლერმა, როდესაც აღწერდა უკრაინის მოვლენებს. მან მოუწოდა იქონიონ მოთმინება რუსეთის ფედერაციასთან რთული და ხანგრძლივი ბრძოლისთვის.

* * *

სოროსსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს სთხოვეს, ყაზახეთიდან გაიტანოს „ოძროს კვერცხები“

ბიშკეკში გაიმართა მიტინგი კომუნისტებისა და რუსი თანამემამულეების მონაწილეობით, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან და მილიარდერ ჯორჯ სოროსისგან მოითხოვდნენ, თავი შეიკავონ ქვეყნის პოლიტიკაში ჩარევისგან. მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ ფინანსისტი დააინტერესა მომავალმა საპარლამენტო არჩევნებმა, რომელიც გაიმართება 2015 წელს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შექმნის აქტიური ფაზის ფონზე.

* * *

ბერლუსკონი თვალის ანთებით მოხვდა საავადმყოფოში – „ეს ყოველივე იმ წყეული სტატუეტის გამო“

2009 წელს ფსიქიკურად გაუწონასწორებელმა მცხოვრებმა მილანიდან პრემიერს სახეში ესროლა დუომოს სუვენერული სტატუეტა, რითაც ოთხი კბილი ჩამოუგდო, გაუტეხა ცხვირი და ყბა, დაუზიანა თვალი. მას შემდეგ პოლიტიკოსს აწუხებს უვეინტი. ეს არის თვალის გარსის სისხლძარღვოვანი დაავადება. ბერლუსკონის ჰოსპიტალიზაცია მოხდა მიკაელა ბიანკოფიორის წიგნის პრეზენტაციაში მონაწილეობის შემდეგ.

* * *

პრესამ შეაჯამა „დიდი ოცეულის“ სამიტის შედეგები ბრისბენში: რუსეთის იზოლაცია დასავლეთისგან ძლიერდება

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დანარჩენი ლიდერები შეხვდნენ ხაზგასმულად ცივად – ეს შეინიშნებოდა როგორც საერთო საუბრების ატმოსფეროში, ისე კერძო დეტალებში. შედეგად პუტინმა ვადამდე დატოვა სამიტი. მან მიუთითა ხანგრძლივ ფრენაზე და იმის აუცილებლობაზე, რომ სამუშაო კვირის წინ გამოიძინოს ნორმალურად, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ეს ჟესტი მიიჩნიეს კანონზომიერ რეაქციად ცივ მიღებაზე.

◎ 18 ნოემბერი ევროპის ანტიბიოტიკების შესახებ ცოდნის ამაღლების დღეა

ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა – პრობლემა და გადაწყვეტის გზები



2008 წლიდან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონალური ოფისის მხარდაჭერით ანტიბიოტიკების შესახებ ცოდნის ამაღლების დღე აღინიშნება.

საყოველთაოდ არის მიღებული, რომ ანტიბაქტერიული პრეპარატების აღმოჩენა (დოგმაგკი, ფლემინგი) მედიცინის უმნიშვნელოვანეს მიღწევებს მიეკუთვნება. ანტიბიოტიკებმა მათი აღმოჩენიდან 70 წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში მილიონობით ადამიანი გადაარჩინა, მნიშვნელოვნად გაზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. ექიმები და, საერთოდ, მთელი საზოგადოება გარკვეულ ეიფორიას მიეცა, რამაც ანტიბიოტიკების ზედმეტად ფართოდ გამოყენება განაპირობა. უგულებელყოფდნენ ამ უდავოდ ეფექტიანი პრეპარატების გვერდით მოქმედებებს – ესენია ალერგიული რეაქციების განვითარება, გარკვეულად იმუნიტეტის დაქვეითება, ინტოქსიკაცია, ღვიძლისა და თირკმლების დაზიანება, ძვლის ტვინის დეპრესია, დისბიოზი – დისბიოცენოზი. ამასთანავე, თავი იჩინა მკურნალობის კიდევ ერთმა მრისხანე გართულებამ – მიკრობების ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის განვითარებამ. კერძოდ, მიკროორგანიზმი ხდება გამძლე სხვადასხვა ანტიმიკრობული საშუალების მიმართ, რის გამოც სტანდარტული მკურნალობა არაეფექტიანია, ინფექცია პერსისტირებს, შედეგიც შეიძლება სავალალო გახდეს. არის აზრი, რომ XXI საუკუნეში გველოდება მრავალი ანტიბიოტიკისადმი მდგრადი ინფექციური აგენტებით გამოწვეული ინფექციების პანდემია, რაც არსებითად წინაანტიბიოტიკებამდელ ერაში დაგვაბრუნებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაქტერიების ე.წ. „ჰოსპიტალურ“ შტამებს, რომელიც მრავალი ანტიბიოტიკისადმი რეზისტენტობით ხასიათდება. დადგენილია, რომ ყოველ წელს აშშ-ში მინიმუმ 2 მილიონი ადამიანი ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიებით ინფიცირდება და 23 000 ყოველწლიურად კვდება ამ ინფექციის შედეგად (დაავადებათა კონტროლის მონაცემები). იგივე ტენდენცია ჩვენს ქვეყანაშიც ივარაუდება და ამ ტრენდის შესაჩერებლად სასწრაფო ზომებია მისაღები.

ანტიმიკრობული რეზისტენტობა (მთლად სრულყოფილი ტერმინი არ არის, მაგრამ მას მთელი მსოფლიო იყენებს. უფრო ზუსტი იქნებოდა მიკრობების რეზისტენტობა ანტიმიკრობული პრეპარატების მიმართ) გლობალური პრობლემაა, რასაც ხელი შეუწყო მოსახლეობის მეტმა მობილურობამ, ინფექციური აგენტები სწრაფად ვრცელდება, მათთვის საზღვრები არ არსებობს. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობა (უმთავრესად, განვითარებული ქვეყნების) მონაწილეობს ძალისხმევაში, რათა ამ გამოწვევას სათანადოდ უპასუხოს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია ამ მიმართულებით ჩასატარებელი ღონისძიებების კონკრეტული პროგრამა.

უპირველესად, ანტიბიოტიკი (ისევე როგორც სხვა მედიკამენტი) უნდა ინიშნებოდეს მიზანდასახულად, მტკიცე ჩვენებების მიხედვით. სამწუხაროდ, მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექციების დროს, განსაკუთრებით ბავშვებში, ანტიბიოტიკები ზედმეტად ფართოდ ინიშნება. საჭიროა სრული დოზის დანიშვნა და ანტიბიოტიკის კურსის ხანგრძლივობის დაცვა. დაუშვებელია თვითმკურნალობა. ამ მხრივ ნამდვილად მისასალმებელია, რომ ჩვენშიც, სხვა მოწინავე ქვეყნების მსგავსად, შემოღებულია რეცეპტის ინსტიტუტი.

აღნიშნული სამიზნეების მისაღწევად, პირველ რიგში, ყველა რგოლის ჩართვაა საჭირო: – წამლის დამნიშვნელი (ექიმი), ფარმაცევტი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, პაციენტი, მთელი საზოგადოება. ანტიბიოტიკების დღე აღინიშნება სწორედ იმიტომ, რომ ამ საჭირბოროტო პრობლემაზე ყურადღების ფოკუსირება მოხდეს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს განათლებას. ცხადია, სამიზნე კონტინგენტში მთლიანად მოსახლეობაც მოიაზრება, მაგრამ, უპირველესად, ჯანდაცვის პროფესიონალთა ცოდნის დონის ამაღლებაა საჭირო, როგორც დიპლომამდელ, ასევე დიპლომისშემდგომ ეტაპებზე (კლინიკური ფარმაკოლოგიის სწავლებისას ანტიბიოტიკოთერაპიაზე აქცენტირება, უწყვეტ განათლებაში სათანადო მოდულების შეტანა, ყველა სახის გამოცდაში იმ საკითხების ხვედრითი წონის გაზრდა, რაც ანტიბიოტიკოთერაპიას ეხება).

პრობლემაა წამლების ხარისხიც, ამიტომაც ჯანმოს მითითებით წამლების ხარისხის კონტროლი არსებითად უნდა გაუმჯობესდეს.

ანტიბიოტიკოთერაპიის დანიშვნისას კლინიცისტებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგებს, მაშინ მკურნალობაც უფრო მიზანდასახული და ეფექტიანი იქნება. ცხადია, ეს მოითხოვს მიკრობიოლოგიური სამსახურის გაძლიერებას.

ყველა აქტივობის წარმატების საწინდარია ბაზისური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ეფექტიანი მონიტორინგი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს საერთაშორისო ქსელების (ჯგუფების) – ARPEC და ESAC-ის მუშაობაში, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ამ ინფორმაციის მოძიებით არის დაკავებული.

ცნობილია, რომ მეცხოველეობაც შეიძლება რეზისტენტობის განვითარებას უწყობდეს ხელს. ეს ხდება იმიტომ, რომ ცხოველების ზრდის სტიმულირებისათვის ცხოველთა მოშენების დროს ანტიბიოტიკების სუბთერაპიული დოზები გამოიყენება. ეს იწვევს რეზისტენტული მიკროორგანიზმების განვითარებას, რაც შეიძლება ადამიანზეც გავრცელდეს.

მიკრობების რეზისტენტობის დასაძლევად აუცილებელია ინოვაციების განხორციელება და დანერგვა – ახალი ანტიბიოტიკების შემუშავება (თუმცა, ამ მხრივ გარკვეული პესიმიზმი სუფევს: უკანასკნელ წლებში პრინციპულად ახალი ანტიბიოტიკების შექმნა მილევად ხასიათს ატარებს), ანტიმიკრობული პეპტიდების, ანტივირულენტური ფაქტორების – ადჰეზიის კოლონიზაციის, ტოქსინების პროდუქციისა და სეკრეციის ინჰიბიტორების – შექმნა, ანტისხეულებისა და ვაქცინების, ფაგოთერაპიის ფართოდ დანერგვა. სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ბაქტერიოფაგების პრობლემის კვლევაში უდიდესი მიღწევები აქვთ ქართველ მკვლევარებს, არ იქნება გადაჭარბებად იმის თქმა, რომ ამ დარგში ჩვენი თანამემამულეების კვლევები ქართული მედიცინისა და ბიოლოგიის, ალბათ, ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, მიღებული შედეგები ხშირად პრიორიტეტულია. თბილისში 1923 წელს დაფუძნებული მსოფლიოში პირველი ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი დღემდე წამყვან პოზიციებს ინარჩუნებს.

ანტიბიოტიკი სამედიცინო „სასწაულია“. ანტიბიოტიკოთერაპიის ოპტიმიზაცია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ანტიმიკრობული რეზისტენტობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოების ჯანმრთელობისთვის. პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია შეთანხმებული ძალისხმევა და თანამშრომლობა არა მარტო ქვეყნის, არამედ საერთაშორისო დონეზეც.

ყარამან ფაღავა,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი

საჯარო აუქციონი

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი“ აცხადებს საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საჯარო აუქციონს;

აუქციონი ჩატარდება ერთ ლოტად. გამოტანილი იქნება მიწის ნაკვეთი:

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №84.

აუქციონზე გასაყიდი ქონების მახასიათებელი რეკვიზიტებია:

ნაკვეთის საკუთრების ტიპი - საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 566კვ.მ; სარეგისტრაციო ზონა - ქ. თბილისი, კოდი 01; სექტორი: ნაძალადევი, კოდი 12; კვარტალი 01; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 01.12.01.003.125.

საწყისი გასაყიდი ფასი 24600 (ოცდაოთხი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნულ ბანკში გადახდის დღეს დაფიქსირებული კურსის მიხედვით.

აუქციონის „ბე“ თანხა – 5000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნულ ბანკში გადახდის დღეს დაფიქსირებული კურსის მიხედვით;

“ბიჯის” ოდენობა - 1000 (ერთი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნულ ბანკში გადახდის დღეს დაფიქსირებული კურსის მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადებები მიიღება 2014 წლის 18, 19 და 20 ნოემბერს, 10 საათიდან 17 საათამდე სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის“ შენობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №84, მე-2 სართული, მარკეტინგის განყოფილება.

საჯარო აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 21 ნოემბერს, 12.00 საათზე მისამართზე, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №84, მე-3 სართული, ოთახი 313.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ შემდეგი საბუთები:

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი პირის შესახებ;

ბ) ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს – სს „საქართველოს ბანკში“, სს „ელმავალმშენებლის“ საბანკო ანგარიშზე (ა№GE59BG0000000298256900);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში)

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში) და უფლებამოსილი პირის (დირექტორის) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასისა) გადახდა.

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ვერ გაიმარჯვებს აუქციონში, მას ერთი კვირის ვადაში უკან დაუბრუნდება ბეს სახით გადახდილი თანხა. გამარჯვების შემთხვევაში კი გამარჯვებულ მონაწილეს ბე ჩაეთვლება გადასახდელი თანხის ნაწილად.

აუქციონის პირობები:

აუქციონზე გამოტანილი 566მ² მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სს „ელმავალმშენებლის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს; იგი მდებარეობს რკინიგზის ცენტრალურ მაგისტრალსა და ქარხნის სარკინიგზო ჩიხს შორის, ქარხნის ღობის მიმდებარედ. მასზე არ არის აღმართული რაიმე სახის შენობა-ნაგებობა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი იყიდება შემდეგი სავალდებულო პირობებით:

„მყიდველმა“ მიწის ნაკვეთის გადაფორმებიდან არაუგვიანეს სამი თვისა, შეძენილი მიწის ნაკვეთის მთელ პერიმეტრზე, სს „ელმავალმშენებლის“ მომიჯნავედ უნდა აღმართოს სასაზღვრო მიჯნა – არანაკლებ 2,4 მეტრი სიმაღლის გამყოფი კაპიტალური ღობე (რკინა-ბეტონის ფილებით) ზედ შემოვლებული დამცავი ეკლიანი მავთულით.

მხარეები ვალდებულნი არიან აუქციონის გამარჯვებულის გამოვლენიდან სამი სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყონ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი“ ზემოაღნიშნული პირობებიდან თუნდაც ერთ-ერთის „უძრავი ქონების ნასყიდობის“ ხელშეკრულებაში ასახვის წინააღმდეგი იქნება, აუქციონის შედეგები ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო „მყიდველი“ დაკარგავს აუქციონში მონაწილეობისთვის გადახდილ ბეს – 5000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს.

„მყიდველი“ ვალდებულია საჯარო აუქციონზე შეძენილი ქონების საფასური (საბოლოო თანხა) გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, აუქციონის შედეგები ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო აუქციონში გამარჯვებული დაკარგავს გადახდილ „ბე“-ს.

ქონების საჯარო აუქციონის ფორმით შესყიდვისას, ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის შემდეგ, ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.

ზემოაღნიშნული ყველა პირობა ასახული იქნება მხარეთა შორის გაფორმებულ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84. საკონტაქტო პირები: დავით გორგოძე (მობ.: 577 55 10 34), თეა თურქია (მობ.: 555 123 183)

მესამე ძალის მოლოდინში

საქართველოს პოლიტიკოსთა განმარტებით, „თავისუფალი დემოკრატების“ ოპოზიციაში გადასვლა, უდავოდ გააძლიერებს ოპოზიციურ ფლანგს და სიცოცხლეს შემატებს პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელიც, ნაციონალთა წყალობით, ერთობ ცალმხრივად და, რაც მთავარია, უპერსპექტივოდ მიმდინარეობს.

პოლიტიკოსებს ამ დასკვნების გაკეთებაში ზურგს უმაგრებენ პოლიტოლოგები და ექსპერტები – მეტადრე ისინი, ვინც რა ხანია ალასანიას ეტრფიან. ტრფობის მთავარი მოტივი „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის სიმპათიური გარეგნობაა.

პოლიტიკაში, ისე, როგორც სხვა დარგში, გარეგნობას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არა გადამწყვეტი. ეს ის დარგია, სადაც მთავარი ყურადღება ჭკუას, გონებას, ცოდნას, გამოცდილებას ეთმობა და არა სილამაზეს. თუ ყველა ჩამონათვალთან ერთად, პოლიტიკოსს სიმპათიური შესახედაობაც აქვს – პოლიტიკური კარიერა შედარებით იოლი გასავლელია.

საქართველოში პოლიტიკოსისადმი დამოკიდებულების მნიშვნელოვანი ნაწილი რომ გარეგნობაზე მოდის – ეჭვს არ იწვევს. მახსოვს, ცნობილი ქართველი მომღერალი ქალბატონის განცხადება ტელევიზიაში საჯაროდ, შეკითხვაზე – როგორ პრეზიდენტს ინატრებდა – მაღალს, ლამაზსო – იყო პასუხი.

რესპონდენტს თავში აზრადაც არ მოსვლია – ჭკვიანს და გამოცდილსო. მახსოვს ისიც, როგორ მომმართა ერთმა ამხანაგმა, ასაკოვანმა და წინა ცხოვრებაში მაღალ თანამდებობაზე ნამუშევარმა – შეეშვი იმ ლამაზი, ხალიანი ბიჭის კრიტიკასო, ალასანიაზე მანიშნებდა, – ხომ იცი, ეს ყმაწვილი მამიას შვილიაო და ა.შ.

დიახ! გარეგნობას აქვს მნიშვნელობა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ოჯახისშვილობას, მაგრამ ისე, როგორც საქართველოში – არსად სხვაგან. იქ, იმ დასავლეთში, რომლის მზე და მთვარე ერთდროულად ამოგვდის, სხვაგვარი მიდგომაა. წარმოვიდგინოთ ერთი რამ – ჯორჯ ბუშ-უმცროსს, წინასაარჩევნო კამპანია ისე წარემართა – ეს ყოფილი პრეზიდენტის, ბუშის შვილიაო – რას მიიღებდა?

ჩვენში ჯერაც ღრმადაა გამჯდარი ზედაპირული ფაქტორების წინა პლანზე დაყენების საკითხი, რაც თავისთავად მეტყველებს პოლიტიკურ უმწიფრობაზე. საზოგადოება ჯერაც შორსაა ისეთი პოლიტიკური თვითშეგნებისგან, რაც დასავლეთში, თუნდაც აღმოსავლეთში არის დამკვიდრებული. ჩვენ ჯერაც დიდ ყურადღებას ვუთმობთ ექსტერიერს და არა ინტერიერს. ჩვენ ჯერაც დარწმუნებულები ვართ, რომ კარგ მშობლებს, უდავოდ კარგი შვილები ეყოლებათ და ა.შ., რითაც წინასწარ ვაკნინებთ შვილის შესაძლებლობებს. ჩვენ ჯერაც დარწმუნებულები ვართ, რომ კარგი მშობლების შვილები კარგი პოლიტიკოსები იქნებიან, თანაც ისეთები, დღეს და ღამეს, სამშობლოზე ფიქრსა და შრომაში რომ გაატარებენ.

23 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც „დამოუკიდებლად“, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კაპიტალიზმში ვცხოვრობთ, მაგრამ ვერაფრით მიგვისადაგებია ჩვენი ცხოვრება, მენტალიტეტი დღევანდელობასთან. ვერ გაგვიგია, რომ ნათესაურ-კლანური მენტალიტეტის კაპიტალიზმში გამოყენება ისეთი შეჯვარებაა, ნაყოფს რომ არ იძლევა. მაგრამ ჩვენ მაინც ჯიქურ ვაწვებით და გვინდა უკანონობის დაკანონება. „მამიას შვილიაო“ და მოჰყვებიან მამიას გმირობის ამბავს. ამის მომსმენი ვალდებულია, გაითვალისწინოს გმირი მამის თვისებები და უნდა თუ არა, შვილს მიუსადაგოს.

ფასადური შეხედულებების მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს ჩვენი ცხოვრება, მითუმეტეს პოლიტიკური. და რაც დრო გადის, ნაცვლად წინსვლისა, უკან მივექანებით. ცოცხალ-მკვდარი მშობლების ავტორიტეტით პოლიტიკაში მოსული შვილები, მშობლებისგან სრულიად განსხვავებული აზროვნებით, თანამედროვე ყოფიდან გამომდინარე, ისეთ ნაბიჯებს დგამენ, მშობლებსაც ჩირქს სცხებენ და, რაც მთავარია, ქვეყანასაც. მაგრამ ჩვენ მაინც ჯიუტად გავიძახით – სიმპათიურია, ამის და იმის შვილიაო. წამითაც არ ვაქცევთ ყურადღებას, რა გამოუვალ მდგომარეობაში ვაყენებთ ნიჭიერ, მაგრამ „უსახელო მშობლების“ შვილებს.

„ჩვენ გავდივართ კოალიციიდან, ვინაიდან ვხედავთ, რომ ევროატლანტიკური კურსიდან უხვევს ისო“, - განაცხადეს კარგი მამების შვილებმა – ალასანიამ და ფანჯიკიძემ, კარიც გაიჯახუნეს და თანაკოალიციელებიც განაცვიფრეს თავიანთი ხმამაღალი განცხადებებით. განაცვიფრეს იმიტომ, რომ „ოცნების“ კოალიციაში თავმოყრილი პარტიებისთვის ჩრდილოური ორიენტაციის მატარებლის სახელის მიკერება ისეთივე გულუბრყვილობაა, როგორც ბუდიზმის.

მაინც სად უნდა ზიარებოდნენ კოალიციის დანარჩენი წევრები ჩრდილოურ მენტალიტეტს, აშშ-ში სწავლა-განათლების მიღების დროს, თუ იქ გამუდმებული ვიზიტების პირობებში?

კოალიციაში დარჩენილებმა კი არა, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა რომ არაფერი იცის რუსეთის შესახებ, ფაქტია. მაშ, რას ემსახურება ესოდენ ხმამაღალი ნათქვამი?

PR-ს – უპირველეს ყოვლისა. რუსეთი მტერია და რახან ასეა, მასთან დაკავშირებული ყოველი სიტყვა პატრიოტულად ჟღერს. ვის სჭირდება ყურით მოთრეული პატრიოტიზმი! – საზოგადოების გარკვეულ ნაწილს – მათ შორის, ინტელიგენციას, რომელსაც რაღაც აკვიატებული ნეგატიური შეგრძნება აქვს დიდი მეზობლის და გაფეტიშებული წარმოდგენა დასავლეთის მიმართ.

„დიდმა პოლიტოლოგმა“ ცისკარიშვილმა ხომ ბრძნულად შეაფასა ალასანიების ყრილობა და იქ დამსწრე საზოგადოება – მხოლოდ „გოიმები“ არ იყვნენ ყრილობაზეო, ანუ ინტელექტუალური პარტიის ყრილობაზე „გოიმებს“ არაფერი ესაქმებოდათო. ასეთი იყო „სვეტი“ ცისკარიშვილის განმარტება. მან და მასავით „სვეტმა“ „ექსპერტებმა“ ისიც ბრძანეს, ქვეყანაში გამოჩნდა მესამე პოლიტიკური ძალაო.

კეთილი, მაგრამ რა მესამე პოლიტიკურ ძალაზეა ლაპარაკი, როდესაც ქვეყანაში ერთიდაიგივე იდეოლოგიის პარტიებია ხელისუფლებაში – ევროატლანტიკური წყალდალეულები, ასეთ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი იდეოლოგიურ სხვაობაზე. „ოცნება“ განსხვავდება ნაციონალებისგან მხოლოდ წვრილმან საკითხებში, მაგრამ ძირითადში, რასაც ქვეყნის საგარეო კურსი ჰქვია – ისინი წყლის ორი წვეთია.

სამივეს: „ნაციონალებს“, „ოცნების“ კოალიციას და მისგან გასულ „თავისუფალ დემოკრატებს“ ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკასთან. და როდესაც ასეა საქმე, რა მესამე ძალის გაჩენაზეა საუბარი?

მესამე ძალა ისეთი უნდა იყოს, რომ დანარჩენ ორთან სერიოზული პოლიტიკური ჭიდაობა წარმართოს ქვეყნის ორიენტაციასთან დაკავშირებით. ალასანიებისგან ასეთი რამ წარმოუდგენელია. რა ხანია ეს პარტია, განსაკუთრებით მისი ლიდერი, ამერიკულ ცურს არის დაწაფებული. ამერიკელი კი თავის ჯიქანს პირს არავის შეავლებინებს – წინასწარი გარანტიების მიღების გარეშე. ასე, რომ, პატივცემული ალასანია და მისი ცოლისდა, სწორედ ის პოლიტიკოსები არიან, რომლებიც არასოდეს გადაუხვევენ საკაშვილის მიერ გაკვალულ ამერიკულ გზას.

„რესპუბლიკელებიც“ – კოალიციის დამკვრელური ძალაც, ხომ საკაშვილის კურსის მიმდევრებია. ეს რომ არ ყოფილიყო, 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში ვერ მოახერხებდნენ პარლამენტში შესვლას. მათი პოპულარობა მაშინ და მანამდე 3%-საც ძლივს აღწევდა.

ალასანიას და მისი გუნდის ოპოზიციაში გადასვლამ კიდევ უფრო გაამაგრა პროდასავლელთა ბანაკი, მაგრამ ვერ შექმნა (ვერც შექმნის) ის მესამე ძალა, რომლის გამოჩენაც რა ხანია ელის საზოგადოება. მაინც რას ელის საზოგადოება?

უპირველესად, იმ არასასიამოვნო პოლიტიკური თამაშის დასრულებას, რასაც 23 წლის განმავლობაში ვხედავთ. ბრტყელ-ბრტყელი დაპირებების ნაცვლად, პრაქტიკული საქმის კეთებას, სოციალური, ყოფითი პირობების გაუმჯობესებას და ა.შ. საზოგადოების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება რუსეთთან ურთიერთობის დალაგებით, აქტიური თანამშრომლობით, პრაგმატული აზროვნებით და ა.შ.

23-წლიანმა დასავლურმა ვალსმა მძიმე შედეგები რომ მოუტანა ქვეყანას – იცის საზოგადოების ნაწილმა. დანარჩენმაც რომ იცოდეს, იმ მესამე ძალაზეა დამოკიდებული, რომელზეც ლაპარაკობენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ჩანს. პარლამენტს გარეთ არსებული პარტიებიდან ზოგი იჩემებს მესამე ძალობას, მაგრამ ნახევარყბით, იმის შიშით, უმნიშვნელო პოპულარობაც რომ არ დაკარგონ. მათ კარგად იციან, რომ ზემომოყვანილი სამი პოლიტიკური ძალა ყველაფერს იღონებს იმ პარტიების ჩასაქოლად, ვისაც რუსეთის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება აქვთ.

პარლამენტს გარეთ არსებული პარტიები აყვნენ პარლამენტში მყოფი პარტიების თამაშს იმ მთავარ საკითხში, რასაც ქვეყნის ორიენტაცია ჰქვია და ნაცვლად იმისა, რომ კარდინალური ცვლის კურსი შესთავაზონ საზოგადოებას, დასავლურობას გაიძახიან, შეფარულად რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას. დარწმუნებული ვარ, პარლამენტში ყოფნის შემთხვევაში, იმ შეფარულობის ტაქტიკასაც დაიგიწყებდნენ და „ნაციონალთა“-„ოცნებელთა“-„თავისუფალ დემოკრატთა“ მსგავსად პოლიტიკური ცხოვრების ჟინით ჩაეხუტებოდნენ ევროატლანტიკელებს.

რუსეთთან დამოკიდებულების პოზიტიურად შეცვლის მსურველმა პარტიებმა მაგალითი უნდა აიღონ პროდასავლური პარტიებისგან და ისეთი შემართებით იბრძოლონ ამ საქმისთვის, რომ ეჭვი არავის გაუჩნდეს – თამაშობენო. მათი ვალია, გამოაფხიზლონ საზოგადოება იმ საღათას ძილისგან, რომელშიც არის ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა; დაანახოს მას ის მძიმე შედეგები, რაც დასავლეთთან ურთიერთობის 23-მა წელიწადმა მოუტანა ხალხს; გააცნოს ჩვენსავით გაუბედურებული ქვეყნების (ევროკავშირში მყოფების) ყოფა და ა.შ.. ერთი სიტყვით, იბრძოლოს და იღვაწოს, როგორც პრაგმატულად მოაზროვნე პარტიამ – მესამე ძალამ, რომლის უპირველესი მიზანია წინა ორი ძალის, ამჯერად სამის, დამარცხება და ხელისუფლებაში მოსვლა.

მავანი შემედავება, ეს, ყველაფერი შეუძლებელია, ვინაიდან აშშ პოზიციებს არ დათმობს და თუ დაჭირდება თბილისურ „მაიდანსაც“ ააგორებს და ახალ „ვარდების“ რევოლუციასაცო. რომ გითხრათ, აშშ ამას არ იკადრებს და არ გააკეთებს, არავინ დაიჯერებს, ვინაიდან ზოგმა იცის, ზოგსაც წაუკითხავს ჩვენნაირი ქვეყნის მიმართ აშშ-ის დამოკიდებულების შესახებ. ისიც იცის, რა ზომებს მიმართავს ჯიუტთათვის. მაგრამ შევეგუოთ ამ პროცესს?

დიახ! აშშ-მა დაიპყრო საქართველო ყოველგვარი იარაღის გარეშე – საღეჭი რეზინებითა და სნიკერსებით, არასამთავრობო ორგანიზაციებითა და თინეიჯერი ხელისუფლებით, თინეიჯერი ოპოზიციითა და თინეიჯერი ჟურნალისტიკით.

ამერიკამ დაიპყრო საქართველო ისე, როგორც თურქეთმა აჭარა. ჩვენ კი ქუჩაში გამოვდივართ რუსული ანექსიის წინააღმდეგ და ამას აწყობს ის პარტია, ვინც რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას შეუწყო ხელი.

იმჟამად, ანუ 2008 წელს ალასანიაც, ფანჯიკიძეც, „რესპუბლიკელებიც“, ახლადგამინისტრებული ბერუჩაშვილიც და მთავრობაში მყოფი მინისტრების უმრავლესობა, თავიანთი მოადგილეებით ნაციონალთა სამსახურში იყვნენ. ბერუჩაშვილთან დაკავშირებით ერთმა ტელეჟურნალისტმა ბრძანა, სამ მთავრობას გაუძლოო. რა ჰქონდა გასაძლები, სამივე მთავრობა ხომ ერთიდაიგივეა?

ჟვანია-საკაშვილის კადრი – ბერუჩაშვილი მინისტრის მოადგილის ამპლუაში იყო – რეფორმატორებად წოდებული „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთიდან. ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ასევე მოადგილის ამპლუაში. „ოცნებამ“ დააფასა მისი გამოცდილება და მინისტრის პორტფელი უბოძა. ასე რომ, იმჟამინდელ-ამჟამინდელი პოლიტიკოსობა არ არსებობს. ყველა ისინი იმჟამინდელები არიან, იმ იდეოლოგიაზე აღზრდილნი და იმ რძეს დაწაფებული, ამერიკული რომ ჰქვია.

ე.წ. მესამე ძალის გამოჩენის შემდეგ, კიდევ უფრო მეტი მოთხოვნილება გაიზარდა ნამდვილი მესამე ძალის მიმართ. ეს ძალა სწრაფად უნდა ჩამოყალიბდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სუროგატი მესამე ძალა, „თავისუფალი დემოკრატების“ სახით, შეეცდება თავისუფალი ნიშის დაკავებას და ხელს შეუშლის ნამდვილს, რომლის იმედიც ჯერ არ გამქრალა ხალხში.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ალიანჩალიანი

არ არსებობს უწყება, სადაც დარღვევები არ არის

ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა. მისი თქმით, აუდიტის სამსახური მის უწყების შემოწმებას ახორციელებს.

„აუდიტის სამსახურსა და ჩემს უწყებას შორის, ჩემს მისვლამდე იყო მიმოწერა. მივედი თუ არა, მივწერე აუდიტის სამსახურს და ვთხოვე, რომ დაეწყოთ სამუშაოები. არ არსებობს უწყება, სადაც დარღვევები არ არის, უბრალოდ, გააჩნია რა ტიპის დარღვევებია. ამ ეტაპზე არ ვიცი რა ტიპის დარღვევებზეა საუბარი“, – განაცხადა სუბარმა.

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით კი, მისი უწყება აუდიტის სამსახურმა უკვე შეამოწმა. მისივე თქმით, თუ რა დასკვნა დაიდება, ამის შესახებ თავად აუდიტის სამსახური ისაუბრებს.

ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის თქმით კი, აუდიტის სამსახურს მისი უწყება ამ დროისთვის არ შეუმოწმება. გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავდაცვის სამინისტროს გარდა, სხვა უწყებებშიც მუშაობს. როგორც თორდია აცხადებს, მეტი პრობლემები იკვეთება იმ სამინისტროებში, სადაც საბიუჯეტო სახსრები დიდია. დარღვევები ფიქსირდება სხვა, შედარებით ნაკლებბიუჯეტიან უწყებებშიც.

„მაგალითად, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ჩვენ მიერ გამოვლენილ ფაქტებში იკვეთება სამართალდარღვევის ნიშნები. საუბარია სპორტული მოედნების მოწყობაზე, სოციალურად დაუცველთა ბაზაში ფიქსირდება უზუსტობები (როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების პირობებში), რაზეც, ალბათ, პროკურატურას შესაბამისი რეაგირება ექნება. ამ საქმის შესწავლა მიმდინარეობს და გვექნება კონკრეტულ თანხებზე ინფორმაცია. დარღვევები ჩანს განათლების სამინისტროშიც, მაგალითად, მერხების შესყიდვისას (შაშკინის მინისტრობის პერიოდი), პროკურატურაში გადავგზავნეთ რამდენიმე თვითმმართველობის მიერ სავარაუდო კანონდარღვევის შემცველი მასალებიც“, – განმარტავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსი „კვირის პალიტრასთან“ საუბარში.

ინტერპრესი

სულთათანა

გენრიხ რატიანი

გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და სპეციალისტების მრავალი თაობის აღმზრდელი, საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული აკადემიის წევრი, სამამულო ომის ვეტერანი, პროფესორი **გენრიხ რატიანი**. ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან იგი ხდება ჩვენს ენერგეტიკაში ახალი მიმართულების „ენერგოეფექტურობის“ განვითარების ინიციატორი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში 1957-1958 წლებში გ. რატიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოში პირველი თბური ტუმბოს დანადგარი, შეიქმნა თბური ტუმბოსა და მზის კოლექტორის კომბინირებული მოწყობილობა. 1958-1959 წლებში გ. რატიანმა საერთაშორისო პრაქტიკაში ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტული სამუშაო ჩაატარა თბოგადაცემის ინტენსიფიკაციისათვის ხელოვნური ხაოიანობის გამოყენების სფეროში. 60-იანი წლების დასაწყისში ენერგეტიკის ინსტიტუტში გ. რატიანმა და მისმა მოწაფეებმა საფუძველი ჩაუყარეს ფაზურ გარდაქმნებთან დაკავშირებული თბოგადაცემის პროცესების კვლევას, რომელთაც შემდგომში საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. ხსენებული მიმართულებების განვითარებასთან ერთად, გ. რატიანი არის საქართველოს ჰაერის კონდიცირების სისტემების დაპროექტების დამფუძნებელი და ამ სფეროს მრავალი მასშტაბური პროექტის ავტორი და კონსულტანტი.



დაწყებული 60-იანი წლებიდან, გ. რატიანი წამყვან როლს თამაშობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის კათედრის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და ამ პროფილის ინჟინრების თაობების აღზრდაში, კათედრის სასწავლო ბაზის განვითარებაში. მასწავლებლის საქმეს აგრძელებენ მის მიერ ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ენერგოეფექტურობის ქართული სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც არც თუ იშვიათად ენერგოეფექტურობის საერთაშორისო ექსპერტების როლშიც გვევლინებიან.

პროფესორი გ. რატიანი არასოდეს აუღელვებია მისი ღვაწლისა და შედეგების ფორმალური აღიარების პრობლემას. მის მთავარ მიზნად ყოველთვის ფაქტიური შედეგის მიღწევა რჩებოდა, ხოლო მორალური თვალსაზრისით მისთვის ის აბსოლუტური ნდობა, მოწიწება და მის ობიექტურობაში ურყევი რწმენაც იყო საკმარისი, რაც მასთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს ყოველთვის ბუნებრივად უყალიბდებოდა.

ღვაწლმოსილი მეცნიერისა და მასწავლებლის ხსოვნა მარად დარჩება მადლიერი მოწაფეებისა და კოლეგების გულებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი, თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის მიმართულება.

პროფესორ გივი მინდელის საძმოს წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, თამაზ ცინცაძე, დათო დათოშვილი, ივიკო საყვარელიძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ჯუმბერ გონაშვილი, გურამ ახრახაძე, როლანდ იოსელიანი, მერაბ მახარაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, გია მახარაძე, იმედა კახიანი თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ რუსლან რუსიას დედის

ნორა ჩარკვიანი-რუსიას

გარდაცვალების გამო.

რეზო ფაჩულია შვილებთან ერთად სამძიმარს უცხადებს ცნობილ ჟურნალისტს რუსლან რუსიას საყვარელი დედის

ნორა პლატონის ასული ჩარკვიანი-რუსიას

გარდაცვალების გამო.

ჩემო რუსლან, ძმურად მიგულე შენ გვერდით.

პროფესორ გივი მინდელის საძმოს წევრები რევაზ თევზაძე, ივიკო საყვარელიძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, დათო დათოშვილი, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, იმედა კახიანი, გია მახარაძე თანაგრძნობას უცხადებენ მერაბ მახარაძესა და მის ოჯახს ძმის, ბატონ

ზურაბ მახარაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ღვაწლმოსილი მუშაკი, საოქმო სამსახურის ყოფილი უფროსი

ვალენტინა ნინუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 20 XI, 14 სთ. მისამართი: სამტრედია, კეცხოველის ქ.143.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ კრიმინალი

მკვლელობა სამეგრელოში

შს სამინისტრომ სამეგრელოში მომხდარი მკვლელობა გახსნა. სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1967 წელს დაბადებული დემნა კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში დააკავეს.

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს დემნა კ-მ სოფელ კახათში, თავის საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, საკუთარ მამას — 1939 წელს დაბადებულ ჯამბულ კ-ს თავში ჯერ შეშა ჩაარტყა, შემდეგ კი, ცივი იარაღით მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები. მიღებული ჭრილობების შედეგად ჯამბულ კ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ქურდობის ფაქტი გახსნილია

შსს-ს ამბროლაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა , ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული შიო კ. და 1992 წელს დაბადებული მამუკა ბ. ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

ბრალდებულებმა ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდაში 3 მაღაზია გაქურდეს, საიდანაც სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო ნივთები და 100 ლარამდე ფული მოიპარეს. იმავე ღამეს შიო კ-მ და მამუკა ბ-მ სოფელ ნიკორწმინდაში ავტომანქანიდან მაგნიტოფონი მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ორივე მათგანი ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რამდენიმე საათში დააკავეს.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRPIII)
განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ქვეყანა: საქართველო
პროექტის ნომერი: **P148048**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRPIII/CW/NCB-02
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სასადილო-ორხევი-ხევსურთსოფელის კმ18.5 – კმ21 (სიონის გადასახვევი, ორხევი-დორეულები) & ორხევი-სიონი გზის კმ1-კმ2 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები (**5.5** კმ)
კონტრაქტის ხანგრძლივობა: 15 თვე
შესაფასებელი ვალუტა: ლარი

შეფასებული კომპანია(ები):

დასახელება: შ.პ.ს. „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 2,171,996.03 ლარი;
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 2,170,907.37 ლარი;

დასახელება: შ.პ.ს. „ტ-ტ“
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 2,285,216.58 ლარი;
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 2,282,813.05 ლარი;

დასახელება: შ.პ.ს. „ცეკური“
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 2,537,001.18 ლარი;
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 2,510,612.96 ლარი;

დასახელება: სს „კავკასავტომაგისტრალი“
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 2,863,809.24 ლარი;
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 2,862,194.82 ლარი;
დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):

დასახელება: არ არის
მისამართი: არ არის
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: არ არის
დისკვალიფიკაციის მიზეზი: არ არის

გამარჯვებული კომპანია:

დასახელება: **შ.პ.ს. „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“**
მისამართი: შინდისის გზა კმ2, გორი, საქართველო
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 2,171,996,03 ლარი;
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 2,170,907.37 ლარი;
საკონტრაქტო ღირებულება: 2,170,907.37 ლარი (ორი მილიონ ას სამოცდაათი ათას ცხრაას შვიდი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი).

Contract Award Notification

Project Name: **Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**
The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project Number: **P148048**

Bid/Contract Reference No: **SLRP III/CW/NCB-02**
Scope of Contract **Rehabilitation of the Secondary road Sasadilo-Orkhevi-Khevsurtsopeli km18.5-km21 (Pass of Sioni, Orkhevi-Doreulebi) & Orkhevi-Sioni road km1-km2 rehabilitation (5.5km)**
Duration of Contract: **15 months**
Evaluation Currency: **Georgian Lari**

Evaluated Bidder(s):
Name: **“Roads Constructing Administration No.1” Ltd.**
Bid price at bid opening: GEL 2,171,996.03;
Evaluated bid price: GEL 2,170,907.37;

Name: **“T.T” Ltd.**
Bid price at bid opening: GEL 2,285,216.58;
Evaluated bid price: GEL 2,282,813.05;

Name: **“Tsekuri” Ltd.**
Bid price at bid opening: GEL 2,537,001.18;
Evaluated bid price: GEL 2,510,612.96;

Name: **“CaucasAutoMagistrali” JSC.**
Bid price at bid opening: GEL 2,863,809.24;
Evaluated bid price: GEL 2,862,194.82;

Rejected Bidder(s)
Name: *N/A*
Bid price at bid opening: *N/A*
Reason(s) for rejection: *N/A*

Awarded Bidder(s):

Name: **“Roads Constructing Administration No 1” Ltd.**
Address: Shindisi Road km2, 1400, Gori, Georgia
Bid price at bid opening: GEL 2,171,996.03;
Evaluated bid price: GEL 2,170,907.37;
Contract Price: **2,170,907.37 GEL (Two Million One Hundred and Seventy Thousand, Nine Hundred and Seven Laris and Thirty-Seven Tetris)**

◎ გამოფენა

საფუძველთა საფუძვლის ტექნიკური აღჭურვილობის დაინვალიერება

მრავალფუნქციური ბიზნეს-ცენტრის „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონი მუდამ გამორჩეულად საინტერესო გამოფენებს მასპინძლობს. ასე იყო ამ ჯერზეც: 12-14 ნოემბერს აქ ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკის მეორე საერთაშორისო გამოფენა „ელკომ კაუკაზუს 2014“ გაიმართა.

ენერგეტიკული უსაფრთხოება და სტაბილურობა ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, ვინაიდან სწორედ ენერგეტიკაა ეროვნული მრეწველობის უკლებლივ ყველა დარგის წარმატებული განვითარების საფუძველი. ამდენად, გამოფენის „ელკომ კაუკაზუს 2014“-ის ფარგლებში გამართულმა კონფერენციამ „ენერგეტიკა მდგრადი განვითარებისთვის“ მონაწილე კომპანიების წარმომადგენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გამართული დისკუსიის დროს კერძო და სახელმწიფო კომპანიების წარმომადგენლებმა განიხილეს ენერგეტიკის დარგის განვითარების სტრატეგია, იმსჯელეს გარემოსდაცვით ღონისძიებათა აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, სამომხმარებლო სატარიფო პოლიტიკაზე, ინოვაციურ პროექტებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.



გამოფენა „ელკომ კაუკაზუს 2014“-ში მონაწილეობა მიიღო თერთმეტი ქვეყნის, მათ შორის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, რუსეთის, უკრაინის, ლიტვის, გერმანიის, პოლონეთის, ნიდერლანდის, თურქეთისა და საქართველოს ორმოცმა ენერგეტიკულმა და ენერგოტექნიკურმა კომპანიამ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყანა გამოფენაზე მხოლოდ ერთი კომპანიით იყო წარმოდგენილი, ამ მხრივ ყველაზე ფართოდ — 16 კომპანიით — საქართველო წარსდგა, რაც, თავისთავად, მეტად სასიხარულო გარემოებაა. დამთვალიერებლებსა და დაინტერესებული ფირმების წარმომადგენლებს წარუდგინეს ენერგიის წარმოების, გადაცემის, დისტრიბუციის, აგრეთვე განახლებადი ენერგიის წარმოებისა და სითბოს გადაცემის მოწყობილობები, ასევე ინდუსტრიული და განათლების სისტემები, ავტომატიკა.

ოთარ მერიშვილი
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ვერნისაჟი

შარაკუს პატივს თბილისშიც მიაგებენ

სახვითი ხელოვნების თბილისური საშემოდგომო სეზონის უდავოდ ერთ-ერთი მშვენება, 12 ნოემბერს ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, იაპონიის ფონდის მოგზაური გამოფენის „შარაკუ, გადმოცემული თანამედროვე იაპონელი მხატვრების მიერ“ გახსნა იყო, რომელიც საქართველოში იაპონიის საელჩოსთან ერთობლივად მოეწყო.

ზოგადად, იაპონური ხელოვნების თაყვანისმცემელთათვის, სხვადასხვა დროის იაპონელ შემოქმედთა, მათ შორის, ბასიოს, უტამარურუს, აკუტაგავას, სხვების სახელები კარგადაა ცნობილი. იაპონიის ისტორიაში ედოს პერიოდად ცნობილ დროში მოღვაწე ტოშუსაი შარაკუ ეგრეთ წოდებული „უკო-ეს“ ჟანრის ცნობილი მხატვარია, თუმცა კი, აქამდე საქართველოში იმის შესახებ ცნობილი ბევრი რამ არ იყო. ამის მიზეზი, შესაძლოა, ისიცაა, რომ მისი ვინაობა დანამდვილებით დღესდღეობითაც დაუდგენელია, თუმცა კი, არსებობს მოსაზრება, რომ იგი ქალაქ ჰაჩობორიში მცხოვრები ცნობილი „ნოს“ თეატრის მსახიობი საიტო ჯურობეი იყო. 1794 წლის მაისიდან 1795 წლის თებერვლამდე პერიოდში ტოშუსაი შირაკუმ 140 ნამუშევარი შექმნა, რომელთა შორის ჭარბობს ასევე ცნობილი „კაბუკის“ დრამატულ და „კიოგენის“ კომედიური თეატრების მსახიობთა პორტრეტები. გარდა ამისა, სერიაში ასევე მრავლადაა მეომრებისა და იაპონური ტრადიციული ჭიდაობის სუმოს სპორტსმენთა პორტრეტები.

ტოშუსი შარაკუს ნამუშევრები მსოფლიოს მრავალ სახელგანთქმულ გალერეაშია დაცული, ისინი კერძოდ, წარმოდგენილია ბრიტანეთისა და ნიუიორკის ხელოვნების მუზეუმებში, ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში, სხვაგან. შარაკუს ნამუშევართა ერთი ნაწილი, 27 მსახიობის პორტრეტი, ტოკიოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ ერის კულტურულ განძადაა აღიარებული.

იაპონიის ფონდის მოგზაურ გამოფენაში, 28 იაპონელი მხატვრისა და გრაფიკული დიზაინერის 81 ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, რომლებშიც ტოშუსაი შარაკუს შემოქმედების მათეული ინტერპრეტაციებია ასახული. გამოფენის დამთვალიერებლებს საშუალება აქვთ, ნახონ „კაბუკის“ თეატრის მსახიობთა პორტრეტები, თემატური ნახატები, მცირე ფორმის დახვეწილი ქანდაკებები, რომელთაგან თითოეულში ძალუმად იგრძნობა გამორჩეული ხელოვანის ტოშუსაი შარაკუს გავლენა.

ქართველი ხელოვნების მოყვარულთათვის გამოფენის ექსპონატების უკეთ აღსაქმელად და გასაგებად, მთელი ექსპოზიცია სამ სექციად არის დაყოფილი. ესენია, კერძოდ, „შარაკუს რეპროდუქცია“, „შარაკუ გრაფიკულ მხატვრობაში“ და „შარაკუს მიმართ გამოხატული პატივისცემა“. უნდა ითქვას რომ თანამედროვე იაპონელი შემოქმედის მიერ ინტერპრეტირებული შარაკუს ყოველი ნამუშევარი ავანგარდისტულად, თანამედროვეობის შესატყვისად იკითხება. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია აკირა იაგის მცირე ნაქანდაკევი კომპოზიცია „ყუთებში გამომწყვდეული დრო“.

— გამოფენა „შირაკუ, — გადმოცემული თანამედროვე იაპონელი მხატვრების მიერ“, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისა და საქართველოში იაპონიის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით იმართება და, იმედი მაქვს, რომ ქართველი საზოგადოება ჯეროვნად დააფასებს ჩვენს მონდომებასა და იაპონელი მხატვრების შემოქმედებას, მათი თვალით დანახულ ჩვენს ცნობილ მხატვარს ტოშუსაი შარაკუს, — თქვა გამოფენის საზეიმო გახსნაზე საქართველოში იაპონიის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა ტოშიო კაიტანიმ. — ვფიქრობ, რომ მათთვის, ვინც ძველ მხატვრობასაც აფასებს და თანამედროვესაც, წარმოდგენილი გამოფენა უდავოდ საინტერესო იქნება, — დასძინა ბატონმა ელჩმა.

გამოფენა „შარაკუ, გადმოცემული თანამედროვე მხატვრების მიერ“, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ერთ თვეს, 12 დეკემბრამდე გასტანს.

ნინო ალექსანდრია

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 20 ნოემბერს

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

დილით გოგო და ბიჭი ქალაქის სკვერში ხვდებიან ერთმანეთს.

— საყვარელო, იქნებ მომითხრო შენს საყვარელზე, ვინც კი ჩემამდე გყოლია?

— არ შემიძლია, ძვირფასო, დედამ მიბრძანა, ღამის თორმეტ საათამდე დაბრუნდი სახლშიო.

* * *

დაძალი დაქალს:

— შენ ძალიან მაგრად მანიპულირებ მამაკაცებზე, მითხარი, როგორ ახერხებ?

— სულ უბრალოდ, მთავარია, დროზე წაავლო ხელი მის მანიპულატორს და მერე ყველაფერი თავისით მიდის.

* * *

— **ძვირფასო**, სად არის ჩემი პრეზერვატივი?

— იცი რა, მეზობელმა მთხოვა და მივეცი.

— მერე ეგ შობელძაღლი, გამოიყენებს და ჩვენს სანაგვეში ყრის?

* * *

— **ეძიმო**, რა მჭირს, სადაც კი თითს მივიდებ, ყველგან საშინელ ტკივილს ვგრძნობ.

— ალბათ თითი გაქვს მოტეხილი.

* * *

სარა ქმარს კრძალავს და ახალგათხრილ საფლავთან მოთქვამს:

— ხაიმ, ღმერთთან რომ მოხვდები, შესთხოვე, რომ ჩვენი ისაკა ჯარში არ წაიყვანონ, მოშემ შარშანწინდელი ვალი დაგვიბრუნოს, ნათანი გამოჯანმრთელდეს, ჩვენი ეთერი კარგ ბედში ჩააგდოს, ახიმის მაღაზიას რევიზია დაეცეს...

გვერდით მდგომმა რაბინმა ვერ მოითმინა და სარას ურჩია —დაგენაცვლე, ამდენ თხოვნას რომ აბარებ საცოდავ ხაიმს, არა სჯობია მის მაგივრად თავად მისულიყავი ღმერთთან და თვითონ გეთქვა?

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოჩულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24